ახალი განათლება

21 - 27 აპრილი

ფასი 1 ლარი 70 თეთრი

№16 (730) გამოდის 1998 წლიდან

www.axaliganatleba.ge

უნიკალური საგანმანათლებლო გამოცდილება ბიზნესის დახმარებით

„საქმიანი უნარების განვითარების პროგრამა 39 საპილოტე სკოლაში განხორციელდა, ვფიქრობ, წარმატებითაც. თუ პროექტი გაგრძელდება, რა თქმა უნდა, ახალგაზრდების საქმიანი უნარების განვითარება უფრო სტაბილურ ხასიათს მიიღებს და შეგნებულ გადაწყვეტილებებზე ორიენტირებული გახდება.“

გვერდი 2

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო აცხადებს

შემოქმედებით კონკურსებს საჯარო და კერძო სკოლების მოსწავლეებისთვის:

1. კონკურსი *„ნაბიჯი თანადგომისკენ“* ტარდება სლოგანების, კონცეფციებისა და სასკოლო წარმოდგენების (ფლეშმობების) სახით, სადაც მოსწავლეებმა უნდა გამოხატონ თავიანთი დამოკიდებულება ძალადობასა და ბულინგთან მიმართებაში, ასევე უნდა წარმოადგინონ პრობლემების მოგვარების ხედვა. სლოგანების კონკურსში მონაწილეობენ VII-XII კლასების მოსწავლეები, ფლეშმობების კონკურსში – I-XII კლასების მოსწავლეები, ხოლო კონცეფციების კონკურსი VIII-XII კლასების მოსწავლეებისთვის არის გათვალისწინებული.

2. საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს ეძღვნება კონკურსი *„წარსულით შექმნილი მომავალი“*, რომლის ფარგლებში, VII-XII კლასების მოსწავლეებისათვის ტარდება ფოტოკონკურსი; ნახატების კონკურსი – I-XII კლასების, ხოლო ესეების კონკურსი – VII-XII კლასების. კონკურსის მიზანია, მოსწავლეებში პატრიოტული და მოქალაქეობრივი თვითშეგნების ამაღლება; ისტორიული მოვლენების კრიტიკულად ანალიზის უნარის გამომუშავება. ნამუშევრებში მოსწავლეებმა უნდა წარმოადგინონ საკუთარი ხედვა, როგორი სურთ იხილონ საქართველო 25 წლის შემდეგ.

3. ევროპის კვირეულთან დაკავშირებით, VII-XII კლასების მოსწავლეებისთვის ტარდება ვიდეოსიუჟეტების კონკურსი – „ევროპა ჩემს ობიექტივში“. კონკურსის სლოგანია „ნაბიჯი ევროპისკენ“. კონკურსის მიზანია მოზარდებმა გაიაზრონ ევროპული ინტეგრაციის მნიშვნელობა საქართველოს განვითარებისათვის.

4. არაქართულენოვანი სკოლებისა და მაღალმთიან დასახლებაში მდებარე საჯარო სკოლების მოსწავლეებისთვის ესეების კონკურსი ჩატარდება. კონკურსის მიზანია კულტურათაშორის დიალოგისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ხელშეწყობა, მხარის განვითარებაზე ზრუნვა. მასში მონაწილეობის უფლება აქვთ საჯარო სკოლების VIII-XI კლასების მოსწავლეებს.

ზემოჩამოთვლილი კონკურსები „წარმატებულ მოსწავლეთა წახალისების პროგრამის“ ფარგლებში ტარდება, რომლის ვადების, პირობებისა და შინაარსის თაობაზე დაწვრილებითი ინფორმაცია განთავსებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ოფიციალურ ვერგვერდზე – www.mes.gov.ge.

კონკურსებში მონაწილეობა შეუძლიათ მოსწავლეებს როგორც ინდივიდუალურად, ისე ჯგუფური სახით. წარმატებული მოსწავლეები/გუნდები წამახალისებელ ჯილდოებს მიიღებენ.

პროფესიული განვითარება

ტრენინგ-მოდულები ინკლუზიური განათლებისთვის

გვესაუბრება მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ინკლუზიური და სპეციალური განათლების კონსულტანტი ჟანა კვაჭაძე

გვერდი 3

ქართველი სტუდენტები უცხოეთში

სტრასბურგში გატარებულმა წლებმა ბევრი რამ მასწავლა

რუბრიკის სტუმარია ნინი ბასილაშვილი, სტრასბურგის უნივერსიტეტის სტუდენტი

გვერდი 4

პედაგოგთა დასახმარებლად

აქტიური სწავლების მეთოდები

კონსტრუქტივიზმი და ევრისტიკა

გვერდი 6

დაწყებითი განათლება

უნიკალური საგანმანათლებლო გამოცდილება ბიზნესის დახმარებით

ანა ფირცხალაიშვილი

პროექტის მონაწილე მოსწავლეებს გადაეცათ სერტიფიკატები

საქართველოს დაწყებითი განათლების პროექტი (G-PriEd) მოსწავლეების წიგნიერების, მათემატიკური და საქმიანი უნარების განვითარების მიზნით ხორციელდება და 2015-2016 სასწავლო წლებში, 122 საპილოტე სკოლას მოიცავს. ორი მათგანის მიზნებისა და მიმდინარეობის შესახებ ჩვენ უკვე ვისაუბრეთ. ამჯერად პროექტის ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტი – საქმიანი უნარ-ჩვევების განვითარების პროგრამა გვინდა წარმოგიდგინოთ. პროგრამის მიზანია, მოსწავლეებს ადრეული ასაკიდან განუვითაროს ისეთი ჩვევები, როგორიცაა სამომხმარებლო, ეკონომიკური, სოციალური, კრიტიკული აზროვნება, ასევე გადაწყვეტილების მიღების, დაგეგმვის, ლიდერობის უნარები. ეს არის უნიკალური საგანმანათლებლო გამოცდილება, რაც დაეხმარება მოზარდებს საქმიანი სამყაროს უკეთ და სწორად აღქმაში.

პროგრამის წარმატებით განხორციელებაში გადამწყვეტ როლს კერძო სექტორი ასრულებს, რომელმაც საპილოტე სკოლებში გაკვეთილების ჩასატარებლად მოხალისეები მიავლინა. იქ, სადაც ვერ მოხერხდა მოხალისეთა მოზიდვა (ძირითადად რეგიონებში), პედაგოგობა თავად პროექტის თანამშრომლებმა ითავეს. პროგრამის ხელმძღვანელი **ნიკოლოზ ჩაჩხიანი** და ტექნიკური ასისტენტი **დიანა დუნდუა** გურჯაანის რაიონის სოფელ გურჯაანის საჯარო სკოლის V და VI კლასებში ახორციელებდნენ საქმიანი უნარ-ჩვევების პროგრამას. პროექტი დასრულდა, შესაბამისად – გაკვეთილებიც. ჯერჯერობით უცნობია გაგრძელდება თუ არა დაწყებითი განათლების პროექტი საქართველოში. ეს, გარკვეულწილად, კვლევის შედეგებზეც იქნება დამოკიდებული, რომელიც უკვე ჩატარდა, მაგრამ შთაბეჭდილება, რომელიც ამ სკოლის ორი კლასისგან მივიღე, იმაზე მეტყველებს, რომ მოსწავლეებმა ბევრი საინტერესო სიახლე გაიგეს, რამაც მათი ფანტაზია სხვადასხვა მიმართულებით წარმართა. ეს არ იყო გაკვეთილები ჩვეულებრივი გაგებით, აქ ბავშვებმა ბევრი რამის ცოდნა გამოამუღავნეს, თუნდაც ეკონომიკური ტერმინოლოგიის ცოდნის დონეზე, მათ წარმოდგენა აქვთ, ზოგადად, სამეწარმეო საქმიანობის შესახებ, შეუძლიათ პრეზენტაციების კეთება, თითოეულს გაუჩნდა განსაკუთრებული დამოკიდებულება ამა თუ იმ სფეროს მიმართ – ზოგს საადვოკატო ფირმის გახსნა სურს მომავალში, ზოგს – ფეხბურთის გუნდის მფლობელობა, საკუთარი პროდუქტების მაღაზიისა თუ რეწვის ხელოვნების შემსწავლელი სახელოსნოს გახსნა და ა.შ.

ნიკოლოზ ჩაჩხიანი, რომელიც იმ დღეს V კლასში ატარებდა შემაჯამებელ გაკვეთილს, ამბობს, რომ მას USAID-თან თანამშრომლობის მრავალწლიანი გამოცდილება აქვს და ამდენად განათლების სფერო მისთვის ახლობელია და ყველაზე მნიშვნელოვანი, ისე როგორც პედაგოგის ამპლუა. და ეს კარგად გამოჩნდა ბოლო გაკვეთილზეც, ბავშვებთან ურთიერთობაში, მათთვის გასაგები ენით, სათანადო თვალსაჩინოებების დახმარებით, მთელი კლასის ადვილად აყოლიებით იმ თემების ირგვლივ კითხვებზე პასუხების გასაცემად, რაც განვლილი ხუთი გაკვეთილის ფარგლებში შეისწავლეს. *„ჩვენი კომპონენტი დაფუძნებულია Junior Achievement-ის მეთოდოლოგიაზე, რომელიც მსოფლიოს 123 ქვეყანაში ახორციელებს მსგავს პროექტებს. საქმიანი უნარების განვითარების პროგრამა 39 საპილოტე სკოლაში განხორციელდა, ვფიქრობ, წარმატებითაც. იმედი მაქვს, რომ ამას კვლევის შედეგებიც დაადასტურებს. ასაკობრივი ფაქტორის გათვალისწინებით პროგრამა 7 ძირითად თემას მოიცავდა: I კლასში – „ჩვენ თვითონ“; II კლასში – „ჩვენი ოჯახი“; III კლასში – „ჩვენი საზოგადოება“; IV – „ჩვენი ქალაქი“; V – „ჩვენი რეგიონი “და VI კლასში – „ჩვენი ქვეყანა“. აქ დამატებითი თემაა „ფულზე მეტი“, რაც მოიცავდა ფინანსური წიგნიერების საკითხებს.*

ჩვენი პირველი ამოცანა იყო კერძო სექტორის ფართოდ ჩართვა პროგრამის განხორციელებაში. საგანგებოდ მინდა აღვნიშნო, რომ ბიზნესმა უყოყმანოდ და უანგაროდ დაგვიჭირა მხარი. ჩვენ საგანგებოდ დავატრენინგეთ მოხალისეები. რაკი მათთვის უცხო იყო სასკოლო გარემო, შევქმენით ანიმაციური ფილმები დაწყებითი კლასის მართვის შესახებ, სათანადო პრაქტიკული რჩევებით, რაც დაფუძნებულია Junior Achievement-ის მეთოდოლოგიაზე, მაგრამ მორგებულია ქართულ სინამდვილეზე. გაკვეთილების სახალისოდ წარმართვისა და მაქსიმალურად მაღალი შედეგის მისაღწევად მათ ხელთ ჰქონდათ ჩვენ მიერ მომზადებული „მოხალისის ვიდეოინსტრუქცია“, ანიმაციური ფილმი „ბავშვები ჩვენი ქუჩიდან“, სხვადასხვა სახის რჩევები, ფლაერები „პრომოვიდეო“, ლექს-სენის მიერ შესრულებული სახალისო, მაგრამ თემატური სიმღერა „ფული მოძრაობს საზოგადოებაში“ და სხვა საჭირო თვალსაჩინო მასალა, რაც აუცილებელია ამ ტიპის გაკვეთილის ეფექტურად ჩასატარებლად. გაკვეთილის სტრუქტურა ასეთი იყო: კლასში შესვლისას მოხალისე, პირველ რიგში, ბავშვებს აწვდიდა ცნობებს თავისი კომპანიის შესახებ და შემდეგ იწყებდა იმ დღისთვის გაწერილ გაკვეთილს. ყველა გაკვეთილი აუცილებლად სახალისო და მსუბუქად აღსაქმელი უნდა ყოფილიყო, თუმცა, რა თქმა უნდა, გარკვეული ინფორმაციის შემცველი, რომლის ათვისების ხარისხსაც, გაკვეთილის დამთავრებამდე სპეციალური დავალების ფურცლების მეშვეობით ვამოწმებდით, რომლის შესრულებაშიც ბავშვები გუნდურად ერთვებოდნენ. მაგალითად, თემა – „ჩვენი ქალაქი“ ან „ჩვენი რეგიონი“ – გულისხმობს, ბავშვებმა იცოდნენ რა ბუნებრივი თუ ადამიანური რესურსებია ამ ტერიტორიაზე, შესაბამისად, უნდა განსაზღვრონ როგორ შეიძლება მათი გამოყენება საკუთარი ბიზნესის დასაწყებად, შემდეგ მოიფიქრონ იმ კომპანიის სახელწოდება, რომელსაც დააარსებენ, მოიფიქრონ, როგორ გაუწევენ რეკლამირებას საკუთარ პროდუქციას და ა.შ. ამ საკითხებზე მოსწავლეები მუშაობენ გუნდურად, ბოლოს, ერთი მათგანი აკეთებს პრეზენტაციას. ეს გარკვეულწილად პროფორიენტაციაც არის და ამიტომაცაა, რომ შედეგად ვიღებთ მოსწავლეთა დაინტერესებას ამა თუ იმ სფეროთი, დარგით. თუ პროექტი გაგრძელდება, რა თქმა უნდა, ახალგაზრდების საქმიანი უნარების განვითარება უფრო სტაბილურ ხასიათს მიიღებს და შეგნებულ გადაწყვეტილებებზე ორიენტირებული გახდება.“ – ასეთია ნიკოლოზ ჩაჩხიანის აზრი და პროექტის მიზანიც.

ეს მეთოდოლოგია რომ ნამდვილად გამართლებულია, რასაც ბიზნესის სამყაროს უკეთ აღქმისთვის მოსწავლეებს პროგრამა სთავაზობს, VI კლასშიც კარგად გამოჩნდა. გაკვეთილს დიანა დუნდუა ატარებდა. მოსწავლეთა სრული ჩართულობით, წინასწარ მომზადებული ფლაერებით გვიჩვენეს, რაოდენი ძალისხმევაა საჭირო სხვადასხვა ქვეყნის ადამიანებისგან რაიმე მნიშვნელოვანი პროდუქტის შესაქმნელად და როგორი ურთიერთკავშირი არსებობს მათ შორის...

ქალბატონი დიანა ცდილობს, ყველა მოსწავლე თანაბრად აქტიური იყოს. კითხვები, რომელსაც ის სვამს, თითოეული მათგანისთვისაა განკუთვნილი. კითხვებზე პასუხები კი იმის ნიშანია, რამდენად შემოქმედებითად ან კრიტიკულად აზროვნებენ მოსწავლეები, რამდენად ტოლერანტულები არიან გუნდური მუშაობისას, რაციონალურები – დაგეგმვისას, რომელი გამოირჩევა ლიდერის თვისებებით და ა.შ.

კვლევის შედეგები უფრო კონკრეტულად გვეტყვის, რამდენად ეფექტურია გაწეული მუშაობის შედეგი, მაგრამ ამ ორი გაკვეთილით ნათლად ჩანს, ეს ის თემებია, რომელზეც კვალიფიციურად და მიზანმიმართულად საუბარი, ნამდვილად ღირს, რადგან აქ იმ ცოდნას იღებენ მოსწავლეები, რაც რეალურ ცხოვრებაში აუცილებლად წაადგებათ.

დაბოლოს, არ შეიძლება არ დაეთანხმო ნიკოლოზ ჩაჩხიანს და დიანა დუნდუას იმაში, რომ სკოლებში, სადაც სიახლისადმი მზაობაა, სადაც დირექტორი, პედაგოგები ერთიანი აქტიური გუნდია, შედეგიც კარგია. ასეთია სოფელ გურჯაანის საჯარო სკოლა, ასეთი დირექტორია ქალბატონი **რუსუდან მამულაშვილი** და V და VI კლასების დამრიგებლები, ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგები – **თამარ ცისკარიშვილი** და **ნინო ვარდიაშვილი**.

პროფესიული განვითარება

ტრენინგ-მოდულები ინკლუზიური განათლებისთვის

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი ინკლუზიური განათლების მიმართულებით სხვადასხვა აქტივობას და პროექტს ახორციელებს და მასწავლებლებს, მოსწავლეთა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების გათვალისწინებით, სხვადასხვა თემატიკის ტრენინგ-მოდულებს სთავაზობს. **მოდულების უმეტესობას კრედიტქულები მიენიჭა, მასწავლებლები, რომლებიც სქემაში არიან ჩართულები და დასახელებულ მოდულებს გაივლიან, გარკვეულ კრედიტქულებს დააგროვებენ.**

რა მოდულები მომზადდა სენსორული დარღვევების მქონე მოსწავლეთა განათლებისთვის, ამის შესახებ გვესაუბრება ცენტრის ინკლუზიური და სპეციალური განათლების კონსულტანტი **ჟანა კვაჭაძე:**

მხედველობის დარღვევის მქონე (მცირემხედველი და უსინათლო) მოსწავლეთა სწავლებისთვის

დღეს, საქართველოს ნებისმიერი რეგიონის ნებიმიერ სკოლაში, შეიძლება აღმოჩნდეს მოსწავლე, რომელსაც მხედველობის გარკვეული დარღვევა აქვს – მცირემხედველია ან უსინათლო. შესაბამისად, მასწავლებლებისთვის, ინკლუზიური განათლების სპეციალისტებისთვის თუ მშობლებისთვის სწორედ იმის მიხედვით გვაქვს მომზადებული ტრენინგ-მოდულები, თუ რა ტიპის პრობლემა აქვს მოსწავლეს. მაგალითად, უსინათლო ბავშვის მასწავლებლისთვის – ბრაილის სისტემა და მისი სწავლების მეთოდოლოგია. მასწავლებელს, მოდულით, არა მხოლოდ ბრაილის შრიფტით წერა-კითხვას, არამედ იმასაც ვასწავლით, თუ როგორ ასწავლოს უსინათლო მოსწავლეს ან შვილს ბრაილის შრიფტის გამოყება, ანუ იმავე მოდულით ვთავაზობთ სწავლების მეთოდიკას. უკვე მესამე წელია, რაც მოდულს 202-ე უსინათლოთა სკოლის მასწავლებლები ატარებენ, რომლებსაც ამის დიდი გამოცდილება აქვთ, პარალელურად, ისინი ჩვენი ტრენერებიც არიან. წელს, დაგეგმილია პროცესში თავად უსინათლო ადამიანების ჩართვა – ცენტრში 2 უსინათლო ტრენერია დასაქმებული და ძალიან ეფექტური იქნება, თუ ისინი ბრაილის სისტემის სწავლების პროცესში ჩაერთვებიან.

შარშან შევიმუშავეთ და დავნერგეთ (ქართველების მხრიდან ეს პირველი მცდელობა იყო) მოდული, რომელიც ორიენტაცია-მობილობის ინსტრუქტორებისთვისაა განკუთვნილი. ეს სპეციფიკური მოდული ინსტრუქტორებს ასწავლის, როგორ შეასწავლონ უსინათლო ადამიანებს უსაფრთხოდ გადაადგილება როგორც შენობის შიგნით, ისე გარეთ, დამოუკიდებლად, ხელჯოხის გამოყენებით ან გიდის დახმარებით. მოდული პირველად შარშან ჩავატარეთ და ორ დონედ დავყავით. მოდულის პირველ დონეზე სპეციალისტები მოვამზადეთ, ხოლო მეორე დონეზე ვგეგმავთ შერეული ჯგუფის მომზადებას, რომელშიც, სპეციალისტებთან ერთად, თავად მხედველობის დარღვევის მქონე პირები მიიღებენ მონაწილეობას

რაც შეეხება მცირემხედველ მოსწავლეებს, მათთვის სპეციფიკური მოდული შევქმენით. მასწავლებლებს, ამ მოდულის მიხედვით, ძირითადად, დამხმარე საშუალებების გამოყენებას ვასწავლით. იმისთვის, რომ მცირემხედველი ადამიანი შეუფერხებლად სწავლობდეს და ფუნქციონირებდეს, აუცილებლად სჭირდება გარემოს ადაპრიტება და ე.წ. დამხმარე და გამადიდებელი საშუალებების გამოყენება, მაგალითად, გამადიდებელი ლუპები, სპეციალური ჭოგრიტები, სპეციფიკური კომპიუტერული პროგრამები და ა.შ. მოდულში მონაწილეები გაეცნობიან გარემოს ადაპტირების გზებს და დამხმარე საშუალებების გამოყენების სწავლების ტექნიკებს.

მოდულში აქცენტი კეთდება მხედველობის დარღვევის მქონე ბავშვის განვითარების თავისებურებაზე – რა ხდება იმ ბავშვის განვითარებაში, რომელსაც მხედველობის დარღვევა აქვს? როგორ და რა გავლენას ახდენს მხედველობის დარღვევა განვითარების სხვადასხვა სფეროზე – მოტორული, კოგნიტური, ენამეტყველება, სოციალური, ემოციური. განსაკუთრებული აქცენტი კი კეთდება იმაზე, რომ, მიუხედავად მხედველობის დარღვევის დრამატული გავლენისა განვითარების ყველა სფეროზე, დროული იდენტიფიცირებისა და ჩარევის, ადეკვატური გარემოსა და სწავლების პირობებში, მხედველობის დარღვევის მქონე ბავშვები ასაკის შესაბამისად ვითარდებიან. ამას კვლევების შედეგებიც ადასტურებს – მხედველობის დარღვევის მქონე ბავშვები განვითარებით არ ჩამორჩებიან მხედველ თანატოლებს.. მონაწილეებს ადეკვატურად დადებითი მოლოდინები უნდა შეექმნათ თავიანთი მცირემხედველი მოსწავლეების მიმართ.

კურსის გავლის შედეგად მონაწილეები ეცნობიან მხედველობის დარღვევის გავრცელებულ ფორმებს და მის გავლენას ბავშვის სწავლაზე, განვითარებაზე, სოციალიზაციასა და ყოველდღიურ ფუნქციონირებაზე. ეცნობიან მხედველობის დარღვევის საერთაშორისო, თანამედროვე კლასიფიკაციას, ტერმინოლოგიას, რომელიც მხედველობის დარღვევებს უკავშირდება. გარდა ამისა, მონაწილეები ეცნობიან იმ სერვისებსა და განათლების ფორმებს, რომლებიც მხედველობის დარღვევის მქონე მოსწავლეებს უნდა შესთავაზონ.

ტრენინგ-მოდული კარგად აცნობს მასწავლებლებს გარემოს ადაპტირების გზებსა და დამხმარე ტექნიკურ აღჭურვილობას, რომელიც მხედველობის დარღვევის მქონე მოსწავლეებისთვის გამოიყენება. მონაწილეებს შეუძლიათ, სპეციალისტის რეკომენდაციის საფუძველზე, ბავშვის საჭიროებებიდან გამომდინარე, გარემოს ადაპტირება და მოსწავლის დახმარება გაკვეთილზე დამხმარე და გამაძლიერებელი საშუალებების გამოყენებაში. ასევე შესაძლებელია, მასწავლებელმა, სპეციალისტის დახმარებით, საკუთარ საგანში, მხედველობის დარღვევის მქონე ბავშვისთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმა შეიმუშავოს. მისი შედგენისას მონაწილეები ითვალისწინებენ იმ ძირითად კომპეტენციებს, რომელიც აუცილებლად უნდა ჰქონდეს ზრდასრულ მოქალაქეს დამოუკიდებელი და სრულფასოვანი ცხოვრებისთვის.

2015 წელს შემუშავდა ბრაილის სწავლების მეთოდოლოგიური გზამკვლევი. წელს ვაპირებთ გზამკვლევის დაბეჭდვას, შესაძლოა ორდღიანი მოდულიც მოვამზადოთ და მასწავლებლებს გზამკვლევის გამოყენება ვასწავლოთ.

დაგეგმილი გვაქვს კიდევ ერთი სიახლე. უსინათლოთა სკოლაში მოსწავლეები გადიან საგანს „რიტმიკა“, ამ საგანს ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს მხედველობის დარღვევის მქონე ბავშვის განვითარების ხელშეწყობისთვის და მისი დამოუკიდებლობისთვის, თუმცა სამწუხაროდ არ არსებობს რიტმიკის სწავლების მეთოდოლოგია ქართულ ენაზე, რომელსაც მასწავლებლები გამოიყენებდნენ, რის გამოც ისინი ხშირად გამოთქვამენ წუხილს. წელს დაგეგმილია რიტმიკის სწავლების მეთოდოლოგიური გზამკვლევის შემუშავება და დაბეჭდვა.

დაბოლოს, მხედველობის პრობლემის მქონე მოსწავლეთა მასწავლებლებისთვის კიდევ ერთი სიახლე გვექნება, რომლის ინიციატორიც ორგანიზაცია „ბავშვი, ოჯახი, საზოგადოებაა“. კერძოდ, ორგანიზაციამ, ფონდის USAID მხარდაჭერით, შეიმუშავა ე.წ. გაფართოებული სასწავლო გეგმა მცირემხედველი და უსინათლო მოსწავლეებისთვის. აღნიშნული სასწავლო გეგმა განკუთვნილია ბავშვებში იმ კომპენსატორული უნარების განვითარებისთვის, რომელიც აუცილებელია მხედველობის დარღვევით გამოწვეული სირთულეების აღმოსაფხვრელად. გაფართოებული სასწავლო გეგმა ჯერჯერობით დამტკიცებული არ არის განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ, თუმცა ორგანიზაციას შემუშავებული აქვს ტრენინგ-მოდული, რომელიც სპეციალისტებს გეგმის გამოყენებას ასწავლის და ორგანიზაცია თანახმაა, მოდული ცენტრს გადასცეს. შესაბამისად, აღნიშნული წლის სექტემბრიდან შესაძლებლობა გვექნება, სპეციალისტებს შევთავაზოთ ტრენინგ-მოდული გაფართოებული სასწავლო გეგმის გამოყენების ტექნიკებზე.

სმენის დარღვევის მქონე პირთა სწავლებისთვის

ამ შემთხვევევაში ორი მიმართულება არსებობს – სმენისარმქონე/ყრუ პირთა და სმენის დაქვეითების მქონე მოსწავლეთა განათლება. პირველ შემთხვევაში, ყრუ პირთა სწავლებისთვის შემუშავებული გვაქვს ჟესტური ენის კურსები, რომელიც სხვადასხვა სამიზნე ჯგუფისთვისაა განკუთვნილი – როგორც თავად ყრუ პირებისთვის, ასევე მათი უახლოესი გარემოსთვის. ამის მიზანი კი ის არის, რომ ჟესტური ენის სწავლებასთან ერთად მათ ჟესტური ენის გარემო შევუქმნათ. მაგალითად, თუ ჩვენ მოგვმართა პირმა, რომელიც ყრუ სტუდენტის თანაკურსელია ან ყრუ მოსწავლის თანაკლასელი, მეზობელი, ოჯახის წევრი ან ნათესავი, ჩვენ მიერ შეთავაზებული კურსით, მათ ჟესტურ ენას შევასწავლით. შესაბამისად, ოთხი სამიზნე ჯგუფი გვყავს – ყრუ პირები და მათი თანატოლები, ყრუ პირთა ოჯახის წევრები, მასწავლებლები და თარჯიმნები. თარჯიმანთა კურსები ორდონიანია, დანარჩენი კურსები კი – სამდონიანი. ვიწყებთ ელემენტარული დონიდან და მეორე, მესამე დონის საკომუნიკაციო ჟესტურ ენას ვასწავლით, რათა ადამიანებმა ყრუ პირებთან, გარკვეულ დონეზე, კომუნიკაცია შეძლონ.

კურსის გავლის შედეგად, მონაწილეები იცნობენ ჟესტურ ენას, როგორც სივრცით ენას, სადაც ინფორმაციის კოდირება ხდება ხელებით და ფლობენ თეორიულ ცოდნას ჟესტური ენის გამოყენებისა და სწავლების შესახებ. მოდული მოიცავს თეორიულ და პრაქტიკულ მეცადინეობებს, გამდიდრებულია ფოტო და ვიდეომასალით. მოდული აერთიანებს ჟესტური ენისა და დაქტილის გამოყენებით სწავლების მეთოდიკას.

მონაწილეები ეუფლებიან დაქტილის შესწავლისთვის აუცილებელი უნარების (ნატიფი მოტორიკა...) განვითარების სტრატეგიებს და იყენებენ მიმიკას, იციან ასო-ბგერების, სიტყვების, სასვენი ნიშნების, წინადადებების, ტექსტის დაწერა-წაკითხვა დაქტილით, ასევე, შეუძლიათ რიცხვების, უტოლობების, მაგალითების, მათემატიკური სიმბოლოების დაწერა-წაკითხვა დაქტილით. კურსის გავლის შემდეგ, მონაწილეები ფლობენ ჟესტურ ენას საბაზისო დონეზე და შეუძლიათ გამოიყენონ ყრუ მოსწავლეებთან სწავლების დროს ან კომუნიკაციისთვის.

სასწავლო რესურსების გასამდიდრებლად, გადავწყვიტეთ გადავიღოთ ჟესტური ენის სასწავლო ფილმები როგორც დამწყებთათვის, ისე თარჯიმნებისთვის. სცენარები უკვე შემუშავებული გვაქვს და ფილმებიც, ალბათ, ზაფხულის ბოლოს გვექნება.

რაც შეეხება სმენის დარღვევის მქონე მოსწავლეთა სწავლების მოდულის შედეგებს, ტრენინგის დასრულების შემდეგ, მონაწილეები უნდა ფლობდნენ ცოდნას სმენის დაქვეითების მქონე მოსწავლის შესაძლო საგანმანათლებლო საჭიროებების, სმენის ფუნქციონირებისა და მისი დარღვევის შესახებ.

ტრენინგ-მოდულის დასრულების შემდეგ, მასწავლებელი უკეთ განსაზღვრავს სმენის დაქვეითების მქონე მოსწავლის საგანმანათლებლო საჭიროებებს, სწავლა-სწავლების ხელშემწყობი სტრატეგიებისა და საკლასო გარემოს ორგანიზების პრინციპებს.

მოდული ეხება იმ მოსწავლეთა განათლებას, რომელთაც არ სჭირდებათ ჟესტური ენა, მათ სმენის დაქვეითება აქვთ. მოდული ტრენინგის მონაწილეებს ამომწურავ ინფორმაციას აწვდის სმენის დაქვეითების მქონე მოსწავლის შესაძლო საგანმანათლებლო საჭიროებების შესახებ და, რაც მთავარია, მოსწავლის საგანმანათლებლო საჭიროებების გათვალისწინებით, სწავლა-სწავლების ხელშემწყობი სტრატეგიებისა და საკლასო გარემოს ორგანიზების პრინციპების განსაზღვრაში ეხმარება.

დაბოლოს, ერთი მნიშვნელოვანი რამ, რაც გვინდა, რომ ამ სფეროში გავაკეთოთ – ბილინგვური სწავლების მეთოლოგიური გზამკვლევი. ეს გულისხმობს ყრუ პირებისთვის როგორც ჟესტური ენის სწავლებას, ისე ქართული ენის სწავლებასაც. თუ როგორ შევძლებთ ვასწავლოთ ჟესტური ენა და, პარალელურ რეჟიმში, განვუვითაროთ ქართული ენა, ამის მეთოდოლოგია ჯერ არ გვაქვს, შესაბამისად, არც ტრენინგ-მოდული არსებობს, ეს ჩვენი სამომავლო გეგმაა.

ესაუბრა ლალი ჯელაძე

ქართველი სტუდენტები უცხოეთში

სტრასბურგში გატარებულმა წლებმა ბევრი რამ მასწავლა

დღევანდელი ნომრის სტუმარია ნინი ბასილაშვილი, სტრასბურგის უნივერსიტეტის სტუდენტი

– ნინი, ზოგადი განათლების მისაღებად ფრანგულ-ქართულ სკოლაში დადიოდი. რა ასაკიდან დაიწყე ფრანგული ენის შესწავლა და განსაზღვრა თუ არა სკოლამ შენი პროფესიული მომავალი?

– მარი ბროსეს ფრანგულ-ქართული სკოლა დავამთავრე. ფრანგულის სწავლა ხუთი წლიდან დავიწყე. ამ სკოლაში ჩემი შესვლით გადაწყდა, რომ საფრანგეთში ვისწავლიდი. რა თქმა უნდა, სკოლას უმნიშვნელოვანესი წვლილი მიუძღვის იმაში, რომ დღეს სტრასბურგის უნივერსიტეტში ვსწავლობ. სკოლიდან გვაგზავნიდნენ ხოლმე საფრანგეთში, ქალაქ ნანტში, სადაც რამდენიმე თვე იქაურ სკოლაში ვსწავლობდით. ეს ფრანგული ენის უკეთ სწავლაშიც გვეხმარებოდა და ნელ-ნელა ახალ გარემოსა და ცხოვრების რეჟიმს ვეგუებოდით.

– სკოლის დამთავრების შემდეგ, სასწავლებლად საზღვარგარეთ, კერძოდ სტრასბურგში მიდიხარ, როგორ ჩაირიცხე სტრასბურგის უნივერსიტეტში და რომელ ფაკულტეტზე სწავლობ?

– დიახ, სკოლის დამთავრების შემდეგ, სტრასბურგში წამოვედი სასწავლებლად.

მარი ბროსეს ფრანგულ-ქართული სკოლა გასცემს ფრანგული სკოლის ატესტატს, რისი მეშვეობითაც, გამოცდის გარეშე, შეგიძლია საფრანგეთის უმაღლეს სასწავლებელში სწავლის გაგრძელება. ამჟამად, სტრასბურგის უნივერსიტეტის სამართლის ფაკულტეტის სტუდენტი ვარ.

– სტრასბურგის უნივერსიტეტში რა წესით გამოიყოფა სტიპენდიები და გრანტები უცხოელი სტუდენტებისთვის, რა პრივილეგიებით სარგებლობენ წარჩინებული სტუდენტები, არის თუ არა მათთვის რაიმე შეღავათები და ნაწილობრივ მაინც თუ აკმაყოფილებს სტიპენდია სტუდენტის მოთხოვნებს?

– სამწუხაროდ, საფრანგეთში, ბაკალავრიატზე, ქართველ სტუდენტებს არანაირი სახის სტიპენდია არ გვეკუთვნის.

– როგორ ფიქრობ, რა უპირატესობა აქვს ევროპულ მოწინავე უმაღლეს სასწავლებლებს ქართულთან შედარებით. რა შეგიძლია გვიამბო სასწავლო პროგრამების, ლექციებისა და პროფესორ-მასწავლებლების შესახებ?

– სასწავლო წელი ათი თვე გრძელდება, ლექციები ყოველ დღე გვაქვს. სასწავლო პროგრამა ორ სემესტრზეა განაწილებული. სისტემა ისეა მორგებული და ყველაფერი ისეა გათვლილი, რომ დრო ყველაფრისთვის ზუსტადაა განსაზღვრული. ყველა გამოცდის წინ ერთკვირიან არდადეგებს გვინიშნავენ, რაც გამოცდებისთვის მოსამზადებლადაა გათვლილი. შვიდ კვირაში ერთხელ გვაქვს არდადეგები. რაც შეეხება მასწავლებლებს, ძალიან მეგობრულები და თავაზიანები არიან. როგორც თანატოლებს, ისე გვიდგებიან. როგორც მომავალ კოლეგებს, გვაძლევენ რჩევებს, გვიზიარებენ საკუთარ გამოცდილებებს, გვეხმარებიან, როცა რაიმე გვიჭირს. განსაკუთრებით ყურადღებიანები უცხოელი სტუდენტების მიმართ არიან.

– რა როლი უჭირავს საფრანგეთში (სტრასბურგში) საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკებს?

– ბიბლიოთეკას დიდი და მთავარი ადგილი უჭირავს. ლექციების მერე ყველა იქ მიდის. სახლში თითქმის არავინ ამზადებს დავალებებს. საღამოს ათ საათამდეა ღია.

ყველა ფაკულტეტს თავისი ბიბლიოთეკა აქვს (ცალკე მდგომი, რამდენიმესართულიანი შენობები), ასევე ცენტრალური საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკაცაა, რომელიც კვირაობითაც მუშაობს. ბევრჯერ ყოფილა შემთხვევა, რომ ბიბლიოთეკაში მისულებს თავისუფალი ადგილი არ დაგვხვედრია. ასეთ შემთხვევაში, სხვა ფაკულტეტის ბიბლიოთეკებს ვსტუმრობთ.

– ნინი, მიამბე შენი სამუშაო გამოცდილების შესახებ. სწავლის პარალელურად, ახერხებ მუშაობას?

– ამჟამად ვმუშაობ ერთ-ერთ სადაზღვევო კომპანიაში. სტუდენტური სამსახურია, ჩემი პროფესიით არ ვმუშაობ. იურიდიული განხრით, პირველი გამოცდილება საქართველოს იუსტიციის სამინისტროში ერთთვიანი სტაჟირება იყო, რომელიც დიასპორის სამინისტროს პროგრამის ფარგლებში გავიარე. ნოემბერში ვაპირებ ერთთვიან სტაჟირებას საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტროში.

– რას ურჩევ ახალგაზრდებს, რომლებსაც საზღვარგარეთ ცოდნის გაღრმავებისა და კვალიფიკაციის ამაღლების სურვილი აქვთ...

– პირველ რიგში, ვურჩევ იმ ენის კარგად შესწავლას, რომელ ქვეყანაშიც აპირებენ გამგზავრებას. ბევრი მუშაობა და მეცადინეობაა საჭირო, საზღვარგარეთ რაიმეს რომ მიაღწიო. აქ ნიშნებს ხათრით არავინ დაგიწერს, ცოდნას და შრომას სათანადოდ და სამართლიანად გიფასებენ. საკუთარ თავზე მუშაობა უნდა შეგეძლოს. უნდა იცოდე, რა გსურს და რა არის შენი მიზანი. ყველას, ვისაც საშუალება აქვს, ვურჩევ სწავლა სტრასბურგში გააგრძელონ. ვთვლი, რომ ვინც აქ ისწავლის, დაამთავრებს და დიპლომს აიღებს, წარმატებული კარიერა გარანტირებული აქვს, რაც თავისთავად გულისხმობს კარგ მომავალს. ყველას ვურჩევდი ევროპაში, კერძოდ საფრანგეთში, სწავლის გაგრძელებას. არა მარტო უნივერსიტეტში, არამედ სკოლაშიც. ჩემი და მეთერთმეტე კლასშია და შემდეგი წლიდან აქ აგრძელებს სწავლას. მინდა, სკოლა აქ დაასრულოს და შემდეგ ჩააბაროს უნივერსიტეტში.

– სად და როგორ ატარებ თავისუფალ დროს? მიამბე, როგორ ცხოვრობენ ფრანგი ახალგაზრდები, რა არის მათთვის პრიორიტეტული, როგორია ფრანგული სტუდენტური ცხოვრება?

– არდადეგები, როგორც ასეთი, დასვენებისთვის, სწავლის პერიოდში არ გვაქვს. როგორც გითხარით, ყველა არდადეგებს გამოცდები მოსდევს. თუმცა მაინც ვახერხებთ თავისუფალი დროის გამონახვას. სხვადასხვა ქვეყნებსა და ქალაქებში მოგზაურობა ალბათ ყველაზე საინტერესო დასვენებაა, მოგზაურობა საკმაოდ იაფია. ეს ერთ-ერთი პრიორიტეტია ევროპაში ცხოვრების. უნივერსიტეტიდან სტუდენტები, შაბათ-კვირას, ჯგუფურად, დადიან ალპებში სასრიალოდ ან ერთდღიან ექსკურსიებზე სხვადასხვა ქვეყნებსა და ქალაქებში. რაც შეეხება გართობას, როგორც ქართველ ახალგაზრდებს, ასევე აქაურ სტუდენტებსაც უყვართ ერთად შეკრება და დროის ტარება კლუბებში, პიკნიკებზე, კინოში, ასევე, რესტორანში სავახშმოდ სიარული. თავისუფალ დროს ყველაფრის კეთება შეიძლება. ამ მხრივ, ალბათ, დიდი სხვაობა არაა.

ყველა ფაკულტეტს ჰყავს თავისი სტუდენტური თვითმმართველობა. ჩვენი ფაკულტეტის თვითმმართველობა ყოველ ხუთშაბათს ან შაბათ დღეს აწყობს წვეულებას და ხშირად იქ მთელი უნივერსიტეტი იკრიბება. წვეულებების გარდა, ხშირად აწყობენ სხვადასხვა ღონისძიებებსა და საქველმოქმედო სადილებს.

– როგორ გესახება მომავალი, სად აპირებ დამკვიდრებას? როგორ ფიქრობ, საზღვარგარეთ მიღებული განათლება საქართველოში დასაქმებაში ითამაშებს გადამწყვეტ როლს?

– პირველ რიგში, სწავლის დასრულებას სტრასბურგში ვაპირებ. მაგისტრატურის გავლა, ერთი წელი, აქ მინდა, მეორე წელი – ჟენევაში. სწავლის შემდგომ, გამოცდილების დაგროვების მიზნით, გარკვეული პერიოდი ალბათ, სამუშაოდ სტრასბურგში დავრჩები, შემდეგ კი საქართველოში დავბრუნდები. დარწმუნებული ვარ, საქართველოში დასაქმებაში ევროპული განათლება და სამუშაო გამოცდილება ნამდვილად ითამაშებს გადამწყვეტ როლს და კარიერასთან დაკავშირებულ ჩემს სამომავლო გეგმებს, ჩემს ქვეყანაშიც თავისუფლად და წარმატებით განვახორციელებ.

– საზღვარგარეთ გატარებულ მცირე პერიოდშიც კი ადამიანი სხვანაირად აფასებს საკუთარ ღირებულებებს. ბუნებრივია, ალბათ ხშირად ფიქრობ საქართველოზე. როგორ გგონია, მიგვიღებს ევროპა ისეთებს, როგორებიც ვართ თუ ძალიან ბევრი რამის გადახედვა და გადაფასება მოგვიწევს?

– გულწრფელად რომ ვთქვა, საქართველოს ევროპამდე კიდევ დიდი გზა აქვს გასავლელი. პირველ რიგში, როგორც სტუდენტს, მიმაჩნია, რომ საქართველოს განათლების სისტემას სერიოზულად უნდა მიხედონ. სახელმწიფოს მხრიდან, ფრანგ სტუდენტებს, ძალიან დიდი ხელშეწყობა აქვთ. თითოეულ მათგანს აქვს სტიპენდია, რომელიც ნიშნებზე და მაღალ აკადემიურ მოსწრებაზე არაა დამოკიდებული. ეს ერთგვარი ფინანსური დახმარებაა, რომელიც ხელს უწყობს მათ, ბოლომდე კონცენტრირებულები იყვნენ სწავლაზე. ბევრჯერ მქონია სურვილი და მინატრია კიდეც – ნეტავ საქართველოშიც ისეთი სიტუაცია იყოს, როგორიც საფრანგეთშია, განსაკუთრებით განათლების სისტემაში, რადგან ამ შემთხვევაში არ მომიწევდა ათასობით კილომეტრის მოშორებით ყოფნა ოჯახისგან და მეგობრებისგან.

– რა არის შენთვის ყველაზე მნიშვნელოვანი და ღირებული, რაც სტრასბურგში გატარებულმა პერიოდმა მოგცა?

– სტრასბურგში გატარებულმა წლებმა ბევრი რამ მასწავლა – პირველ რიგში, დამოუკიდებლობა, მიზნის მისაღწევად ბრძოლა. როგორი სირთულეც უნდა შეგხვდეს, არასდროს არ უნდა დაიხიო უკან და უარი არ უნდა თქვა შენს სურვილებზე. აქ სირთულეები გარდაუვალია. თუ ერთხელ არ გამოგივა, აუცილებლად მეორედ უნდა სცადო. არ უნდა დანებდე და ყველა შესაძლებლობა გამოიყენო დასახული მიზნის მისაღწევად. ყოველთვის, როდესაც რაღაცას აკეთებ, უნდა გახსოვდეს, რატომ დაიწყე მისი კეთება. ინგლისურად უკეთ ჟღერს: „never forget why you started“.

ესაუბრა
მაკა ყიფიანი

ინფორმაცია

უპრეცედენტო პროექტი საჯარო სკოლაში „გზავნილი საქართველოს“



თავშესაფრის მაძიებელი და ლტოლვილი უცხოელი მოსწავლეები, რომელთაც ომის გამო სამშობლოს დატოვება მოუხდათ, დღეს თბილისის 81-ე საჯარო სკოლაში სწავლობენ. ეს მოსწავლეები ჩართულნი არიან საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ ინიცირებულ „საქართველოში თავშესაფრის მაძიებელთა და ლტოლვილის ან ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირთათვის ქართულ ენაში მომზადების პროგრამაში“, რომლის ფარგლებშიც, ერთი წლის განმავლობაში, ქართულ ენას შეისწავლიან და მიიღებენ შესაბამის ცოდნას (წერა, კითხვა, მოსმენა, საუბარი) იმ დონეზე, რაც მათ საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლის გაგრძელების საშუალებას მისცემს მანამდე, ვიდრე ამის საჭიროება იქნება.

თბილისის 81-ე საჯარო სკოლაში თავშესაფრის მაძიებლის, ლტოლვილის ან ჰუმანიტარული სტატუსის მქონე 69 ბენეფიციარი ჩაირიცხა, მათ ქართულს კონკურსის შედეგად შერჩეული კვალიფიციური პედაგოგები ასწავლიან. ამ მოსწავლეთა მონაწილეობით, 18 აპრილს, ქართული ენის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება გაიმართა, რომელსაც საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე ლია გიგაური დაესწრო.

ღონისძიებაზე მოსწავლეებმა ქართველი და ლტოლვილი ბავშვების ხელნაწერების გამოფენა წარმოადგინეს. ასევე იყო გამოფენილი სკოლის ქართველი მოსწავლეების მიერ ლტოლვილი მეგობრებისადმი მიწერილი წერილები, გაიმართა ფილმის „გზავნილი საქართველოს“ ჩვენება, ეს არის ქართველი და ლტოლვილი ბავშვების ერთობლივი ფილმი მეგობრობაზე, ასევე გაიმართა მეგობრული საფეხბურთო მატჩი. ღონისძიება ერაყელმა მოსწავლემ გახსნა, რომელმაც ქართული სიმღერა შეასრულა. ღონისძიების ბოლოს საუკეთესო ხელნაწერის ავტორი და ფეხბურთში გამარჯვებულები დაჯილდოვდნენ.

ლია გიგაური: *„ლტოლვილი, ჰუმანიტარული სტატუსის მქონე და თავშესაფრის მაძიებელი ბავშვებისთვის სახელმწიფო მრავალი ტიპის პროგრამას ახორციელებს. განსაკუთრებით გამორჩეულია საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც ზოგადი განათლების ხელმისაწვდომობას ემსახურება. იმ ბავშვებს, რომელთაც სამშობლოს დატოვება ომის გამო მოუხდათ, ნამდვილად სჭირდებათ ხელშეწყობა და წორედ ამ მიზნით შეიქმნა პროგრამა, რომელიც გულისხმობს, პირველ ეტაპზე, ქართული ენის კომპეტენციების გაძლიერებას და ერთი წლის შემდეგ, როდესაც ბავშვებმა ქართული ენა უკვე სათანადოდ იციან, საგაკვეთილო პროცესში მათ ინტეგრაციას და სრულფასოვანი კურსის შეთავაზებას. თუმცა, ქართული ენის სწავლება მხოლოდ ენის სწავლებით არ შემოიფარგლება, გულისხმობს სხვადასხვა აქტივობებს, ასევე, ფიზკულტურის, მუსიკის, ხელოვნების გაკვეთილებს და სხვადასხვა, საკომუნიკაციო უნარ-ჩვევების გასაუმჯობესებელ აქტივობას.*

დღეს ისინი მონაწილეობენ ძალიან მნიშვნელოვან, ქართული ენის დღესთან დაკავშირებულ ღონისძიებაში. თქვენ ნახეთ, როგორ წერენ და მეტყველებენ ეს ბავშვები ქართულად, რამდენად არიან მოტივირებულები, რომ უკეთესად ისწავლონ.

რაც მთავარია, ძალიან შეუყვარდათ საქართველო. მათი სახით, ჩვენ მოვიპოვეთ მეგობრები და მიუხედავად იმისა, დარჩებიან ამ ქვეყანაში თუ ძალიან მალე მოუწევთ მისი დატოვება და სამშობლოში დაბრუნება, ალბათ, სამუდამოდ დაამახსოვრდებათ ის დრო, რომელიც საქართველოში გაატარეს.“

მაგდა ბარამიძე, 81-ე საჯარო სკოლის დირექტორი: *„დღეს, 18 აპრილს, ცოტა მოგვიანებით, მაგრამ მაინც გვაქვს სახელმწიფო ენის კვირეულის დახურვის დღე. ჩვენი სკოლა იმით გამოირჩევა, რომ მრავალეთნიკური მოსწავლეებითაა დაკომპლექტებული. კიდევ ერთი ძალიან დიდი ბედნიერება გვერგო – წელს საქართველოში ლტოლვილი და ჰუმანიტარული სტატუსის მქონე მოსწავლეთათვის ვახორციელებთ განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პროგრამას, ზოგადი განათლების ფარგლებში – ვასწავლით ქართულ ენას.*

ეს ჩვენთვის მეტად მნიშვნელოვანი და საპატიო მისიაა. ვფიქრობთ, ძალიან კარგ საქმეს ვაკეთებთ. ზოგადად, ჩვენი სკოლა მოტივირებულია იმისთვის, რომ, რაც შეიძლება, კომფორტული პირობები შევუქმნათ ამ ბავშვებს და რაც შეიძლება, დავაჩქაროთ მათი ინტეგრაცია. ენის ცოდნა ამისთვის უპირობოდ მნიშვნელოვანია.

ჩვენს დღევანდელ ღონისძიებას ჰქვია „გ ზავნილი“ – როგორც ჩვენ გვაქვს გ ზავნილი ერაყელი ბავშვებისადმი, ასევე მათ აქვთ გ ზავნილი საქართველოსთვის. სწორედ ამ დასახელების – „გ ზავნილი საქართველოს“ – ფილმის პრეზენტაცია ვიხილეთ დღეს, პროგრამის ფარგლებში.

ძალიან კმაყოფილი ვართ იმით, რომ დროის მცირე მონაკვეთში საკმაოდ დიდ შედეგებს მივაღწიეთ. თქვენ თვითონ შეგიძლიათ დარწმუნდეთ, რა კარგად მეტყველებენ ბავშვები ქართულად.

მუსტაფა ალ შაჰი, მოსწავლე: *„დღეს აქ ფეხბურთის თამაში გვაქვს. უნდა ვიმღეროთ, ვიცეკვოთ. 81-ე სკოლაში ვსწავლობ. ძალიან მიყვარს ჩემი სკოლა, ჩემი მასწავლებელი და ჩემი მეგობრები. ფილმი გადავიღეთ საქართველოს და ერაყის მეგობრობაზე. ჩემი ძმაც აქ არის.“*

პედაგოგთა დასახმარებლად

ზურაბ ვახანია

მათემატიკა (დაწყებითი საფეხური)

აქტიური (ინტერაქციული) სწავლების მეთოდები – კონსტრუქტივიზმი და ევრისტიკა (პრობლემური მეთოდი)

დასასრული (დასაწყისი იხ. №15)

ამოცანების მნიშვნელობა მათემატიკის კონსტრუქტივისტულ სწავლებაში; ამოცანების ძირითადი სახეობები

მათემატიკაში კონსტრუქტივისტულ-ევრისტიკული სწავლებისთვის მშვენიერი ბუნებრივი საშუალება გვაქვს: ესაა სწავლება ძირითადად სასწავლო ამოცანათა თანწყობის მეშვეობით. სწორედ სასწავლო (არა სატესტო-საკონტროლო) ამოცანების ამოხსნით ააგებს თუ აღმოაჩენს მოსწავლე ახალ ცოდნას, შემდეგ კი უნარ-ჩვევებს გაივარჯიშებს და გაიწაფება.

კონსტრუქტივისტული 3 ფაზის შესაბამისად სასწავლო ამოცანებიც სამი სახისაა:

I. შემამზადებელი ან წინასწარი სამოტივაციო;

II. ცნების ან მოქმედების გამააზრებელი;

III. განმამტკიცებელ-განმავითარებელი, გამოყენებითი.

ოღონდ ეს სახეობები კონტექსტზეა დამოკიდებული – ზოგი ამოცანა ისეთია, რომ შეიძლება იყოს I, ან II, ან III – გააჩნია, რა ადგილასაა ჩასმული.

განვიხილოთ, მაგალითად, ამოცანა: „***დახაზეთ ორი სამკუთხედი – ტოლგვერდებიანი და არატოლგვერდებიანი – ისე, რომ თითოეულის გვერდების სიგრძეთა ჯამი 20 სანტიმეტრის ტოლი იყოს***“. ცნებისთვის „პერიმეტრი“ ეს ამოცანა I ფაზისაა; ცნებებისთვის „ტოლფერდა და ტოლგვერდა სამკუთხედები“ – II ფაზისა; გაზომვის, სიგრძის ერთეულების ან კომბინატორიკის (20-ის დაშლა სხვადასხვა შესაკრებთა ჯამებად) საკითხებისთვის – III ფაზისა.

გარდა ამისა, აუცილებელია აგრეთვე:

IV. სატესტო-საკონტროლო ამოცანები – მოსწავლეთა ცოდნა-განვითარებაზე ხშირი დაკვირვებისათვის და სათანადო უკუკავშირის დასაგეგმად.

სიტუაციური ამოცანები

1. მასწავლებლის მიზანია წინარე ცოდნის, ერთი ნასწავლი საკითხის გამეორება და მისი ცოდნის გააქტიურება. საუკეთესოა აქტიური გამეორება. დაალაგეთ შემდეგი სასწავლო ქმედებანი თანმიმდევრობით, ყველაზე პასიური გამეორებიდან ყველაზე აქტიური გამეორებისაკენ. შემდეგ კი, აღწერეთ ყველაზე აქტიური გამეორების კონკრეტული მაგალითი.

• მასწავლებლის დავალებით, მოსწავლე სახელმძღვანელოში მოიძიებს ნასწავლ საკითხს და კვლავ წაიკითხავს.

• მასწავლებლის დავალებით, მოსწავლე სხვა წყაროდან მოიძიებს ნასწავლ საკითხს და წაიკითხავს.

• მასწავლებელი მოსწავლეს მიუთითებს საჭირო ადგილს სახელმძღვანელოდან და მის წაკითხვას დაავალებს.

• მასწავლებელი მოკლედ, შეჯამებულად ჩამოაყალიბებს ნასწავლ საკითხს და მოსწავლეს ასე შეახსენებს.

• მასწავლებელი მოსწავლეს დაავალებს ამოცანის გადაწყვეტას ნასწავლი საკითხის გამოყენებით.

• მასწავლებელი მოსწავლეს უჩვენებს ნასწავლი საკითხის პრაქტიკული გამოყენების საინტერესო მაგალითს.

ა) 3-4-2-1-6-5;	**ე) 4-3-1-2-6-5;**
ბ) 1-2-4-3-5-6;	ვ) 3-4-1-2-6-5;
გ) 4-3-2-1-6-5;	ზ) 4-1-3-2-6-5;
დ) 2-1-3-4-5-6;	თ) 1-2-4-3-6-5.

2. შემდეგთაგან რომელია სწავლის საუკეთესო, **ყველაზე აუცილებელი** საშუალება?

ა) ტრადიციული ფორმითა და შინაარსით აწყობილი საგაკვეთილო მუშაობა;

ბ) მოსწავლისა და მასწავლებლის თანამშრომლობა;

გ) უზადო ლექციების კურსის წაკითხვა კარგი მასწავლებლის მიერ;

დ) მოსწავლეთა გუნდური მუშაობა და ურთიერთთანამშრომლობა;

ე) კამათი, რომელშიც იბადება ჭეშმარიტება;

ვ) თვით მოსწავლის მიერ იმის კეთება, რაც უნდა ისწავლოს.

3. კლასში გაკვეთილზე დამსწრე იჯდა. მასწავლებელმა მოისურვა, რომ საფუძვლიანად აეხსნა ახალი საკითხი. ამიტომ წინა საკითხების გამოკითხვა სწრაფ ტემპში წარმართა და მალე მოათავა, რათა გაკვეთილის ძირითადი ნაწილისთვის საკმარისი დრო მორჩენოდა. ძირითადი ნაწილი კი იმით დაიწყო, რომ მოსწავლეებს შესასწავლი საკითხის პრაქტიკული მნიშვნელობა აუხსნა და დაუსაბუთა, მაგრამ გაკვეთილის ბოლოს მასწავლებელი გაწბილებული დარჩა, რადგან მოსწავლეთა ინტერესი ძალიან დაბალი იყო და, შედეგად, ცუდი გაკვეთილი გამოუვიდა.

შემდეგთაგან ყველაზე **ნაკლებად** რომელი გვიჩვენებს ამის მიზეზს?

ა) წინარე საკითხების აჩქარებით გამოკითხვის გამო მასწავლებელმა ვერ გაარკვია რამდენად კარგად იცოდა კლასმა ისინი;

ბ) წინარე საკითხებზე მსჯელობა წესით ახლის შემზადებაც უნდა ყოფილიყო;

გ) მასწავლებელმა კარგად ვერ ახსნა ახალი საკითხები, რადგან დამსწრის იქ ყოფნამ დაძაბა;

დ) მასწავლებელს არ ჩაუტარებია წინმსწრები სამოტივაციო აქტივობა;

ე) მრავალ მოსწავლეს სურდა, წარმოეჩინა თავისი ნამუშევარი და გამოეთქვა აზრი საშინაო დავალების საკითხებზე (რომლებშიც თავს უფრო მყარად გრძნობდნენ); მათ ამის საშუალება არ მიეცათ, რამაც მათი მოტივაცია შეასუსტა;

ვ) „საფუძვლიანი ახსნა“, არსებითად, დიდაქტიკური მინილექციის გახანგრძლივებაა, „გაკვეთილის ძირითადი ნაწილი“ კი სულ სხვა რამ უნდა ყოფილიყო.

4. გაარკვიეთ, შემდეგთაგან რომელია **ყველაზე შორს** კეთებით სწავლების მაგალითებიდან – მოსწავლეთა მიერ:

ა) ფერადი ქაღალდებისგან სხვადასხვა ნაცნობი ფორმების გამოჭრა, გეომეტრიული ორნამენტების გაკეთება და ფორმების თვისებებზე დაკვირვება;

ბ) კონკრეტული მაგალითების განხილვა და საერთო თვისების აღმოჩენა და მისი განზოგადება ზოგად წესად;

გ) იმ გეომეტრული ფორმების დასახელება, რომლებიც ყველაზე მეტად მოსწონთ;

დ) მოსწავლეთა მიერ კითხვარის მიხედვით გამოკითხვის ჩატარება, მისი შედეგების აღრიცხვა და დასკვნის გამოტანა.

5. ჯ. დიუის „კეთებით სწავლება“ უპირატესად პირდაპირი მნიშვნელობით ესმოდა – ვითარც ხელით კეთება, ანდა ისეთი აქტივობით კეთება, რომელიც მოძრაობებში მაინც ვლინდება. ამის გათვალისწინებით გაარკვიეთ, წინა ამოცანის ასარჩევი პასუხებიდან (**გარდა** მისივე **მართებული პასუხისა**) რომელია **ყველაზე შორს** სწორედ დიუისეული „კეთებით სწავლების“ მაგალითებიდან. ეს იქნება „კეთება“ მხოლოდ გონებაში (პიაჟე-ბრუნერისეული კონსტრუქტივიზმი).

(ბ)

პროფესიული განვითარება

პროფესიული კოლეჯების მასწავლებლები გერმანულ გამოცდილებას გაიზიარებენ

პროფესიულ განათლებაში რეფორმის ახალი ეტაპის განხორციელება გულისხმობს კერძო სექტორის ჩართულობას პროფესიულ განათლებაში. ამ პროცესში ძალიან დიდი მნიშვნელობა ენიჭება მასწავლებლების მომზადებასა და მათ კვალიფიკაციას. ამ კუთხით, განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, პროექტის „კერძო სექტორის განვითარება სამხრეთ კავკასიაში“ ფარგლებში, წარმატებით თანამშრომლობს გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოებასთან (GIZ). ამ ურთიერთობის ფარგლებში მრავალი ინიციატივა ხორციელდება, რომელიც არა მარტო პროფესიული განათლების განვითარებაზეა ორიენტირებული, არამედ ხელს უწყობს სამხრეთ კავკასიაში საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის შორის წარმატებულ თანამშრომლობას, ქვეყნებს შორის ცოდნის გაცვლაზე ორიენტირებული პარტნიორული ურთიერთობების გაღრმავებას და გამოცდილების გაზიარებას.

პროფესიული განათლების სპეციალისტთა მომზადებას გულისხმობს პროექტი „პროფესიული გადამზადების პროგრამა პროფესიული განათლების სპეციალისტებისთვის“, რომლის მიზანია ხელი შეუწყოს საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის ახალგაზრდა პროფესიონალთა კვალიფიკაციის ამაღლებას პროფესიული განათლების სფეროში პედაგოგიკის, დიდაქტიკის, მენეჯმენტისა და ადმინისტრაციული საქმიანობის მიმართულებით.

პროფესიული განათლების მოკლევადიანი საგანმანათლებლო პროგრამა შედგება სამი ფაზისაგან, რომელიც მოიცავს შვიდ მოდულს. პროგრამის საწყისი მოდულები განხორციელდება საქართველოში, ხოლო დანარჩენი საგანმანათლებლო მოდულები – გერმანიაში.

აღნიშნული ინიციატივა დაეხმარება კონკურსში გამარჯვებულ სამივე ქვეყნის მონაწილეებს გაიღრმავონ ცოდნა პროფესიული განათლების თანამედროვე ტენდენციების შესახებ, გაიზიარონ გერმანული გამოცდილება და გამოიყენონ მიღებული ცოდნა საკუთარი ქვეყნის პროფესიული განათლების სისტემის საკეთილდღეოდ.

ქეთევან ნატრიაშვილი: *„პროფესიულ განათლებაში რეფორმის ახალი ეტაპის განხორციელებისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს მასწავლებლის მომზადებას, მის მაღალ კვალიფიკაციას. ამ კუთხით, გადავწყვიტეთ, ვითანამშრომლოთ გერმანიის მთავრობასთან. გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის ორგანიზაცია გვეხმარება პროფესიულის მასწავლებლების გადამზადებაში. დაიწყო პროგრამა, რომლის ფარგლებში გადაიდგა პირველი ნაბიჯები – შვიდი ქართველი მასწავლებელი, კოლეგებთან (ჩვენი მეზობელი ქვეყნებიდან) ერთად, მონაწილეობას მიიღებს მოსამზადებელ კურსში, რომლის განხორციელება დაგეგმილია როგორც საქართველოში, ასევე გერმანიაში. ამის შემდეგ, მაგდებურგის უნივერსიტეტთან თანამშრომლობით, დაგეგმილია უკვე სამაგისტრო კურსის შემუშავება, ჩვენს სახელმწიფო უნივერსიტეტებთან პარტნიორობით, რომელიც პროფესიულის მასწავლებლებს ამ მიმართულებით ცოდნის კიდევ უფრო გაღრმავების შესაძლებლობას მისცემს“.*

მარი შეფერი, გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის ორგანიზაციის კავკასიის ოფისის გენერალური დირექტორი: *„ეს მნიშვნელოვანი პროექტია. „ჯიაიზეტი“ მუშაობს პროფესიული განათლების განვითარების მიმართულებით. პროფესიული განათლება კი, გერმანული მოდელის გააზრებით, ნიშნავს კერძო სექტორის აქტიურ ჩართულობას. პროფესიული უნარები ბიზნესისთვის/ბიზნესი პროფესიული უნარებისთვის – ეს არის მთავარი ამოსავალი წერტილი“.*

მარიტა რიგელი, კერძო სექტორის განვითარების სამხრეთ კავკასიის პროგრამის დირექტორი: *„პროფესიული განათლება ეკონომიკის განვითარების ღერძია. ეკონომიკა და კერძო სექტორი ვერ განვითარდება პროფესიული კადრების გარეშე. ამიტომ, აუცილებლად გვჭირდება მაღალი რანგის სპეციალისტები. სწორედ ასეთი სპეციალისტების მომზადებას ისახავს მიზნად ეს პროგრამა. ყოველი მონაწილე იმუშავებს ე.წ. განვითარების პროექტზე. კურსის დასრულების შემდეგ, ისინი წარადგენენ მზა პროექტს და მისი განხორციელება მოხდება ინსტიტუციის ორგანიზების განვითარების მიზნით“.*

ინფორმაცია

ტექნიკური უნივერსიტეტის ორი პროფესორი დაჯილდოვდა

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა თამარ სანიკიძემ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ამაგდარ პედაგოგსა და მეცნიერს, საინჟინრო მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორ ლიანა სუთიძეს და ამავე უნივერსიტეტის ცოტნე მირცხულავას სახელობის წყალთა მეურნეობის ინსტიტუტის ბუნებრივი კატასტროფების განყოფილებისა და სამშენებლო ფაკულტეტის აგრომელიორაციის მიმართულების მოდულის ხელმძღვანელს, მეცნიერების დოქტორს, პროფესორ რობერტ დიაკონიძეს ღირსების ორდენები გადასცა.

ქალბატონი ლიანა, ნახევარ საუკუნეზე მეტია, წარმატებით მოღვაწეობს ბევრი ქალისთვის ძალზე რთულ სფეროში. იგი ერთადერთი ქალია, რომლის უშუალო მონაწილეობით, 55 წლის წინ, საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში ჩამოყალიბდა სამშენებლო, საგზაო მანქანებისა და მოწყობილობების კათედრა. 50-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომისა თუ სახელმძღვანელოს ავტორი სპეციალურ საგნებში კითხულობდა ლექციების კურსს რეგიონებში, განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი წვლილი ტექნიკური ტერმინოლოგიის პრობლემების კვლევასა და შესაბამისი განმარტებითი ლექსიკონის შექმნაში.

45 წელია საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში მოღვაწეობს რობერტ დიაკონიძე, იგი 70-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის ავტორია, მონაწილეობა აქვს მიღებული 14 სამეცნიერო-საგრანტო პროექტის დამუშავებაში, ამჟამად მუშაობს სამეცნიერო საგრანტო პროექტზე, რომელიც ეხება შავი ზღვის სანაპირო ზოლის მდგრადობასა და ზღვის წყლის ხარისხის შეფასებას. ბატონ რობერტს სამეცნიერო საგრანტო პროექტებზე (2010-2015 წწ.) მუშაობის პერიოდში ინსტიტუტის ბიუჯეტში, დამატებით, შეტანილი აქვს, დაახლოებით, ნახევარი მლნ. ლარი, რის საფუძველზეც მას დასაქმებული ჰყავდა 35 თანამშრომელი.

2015 წლის 13 ივნისს, მდინარე ვერეზე მომხდარი სტიქიის დროს, რობერტ დიაკონიძე, სხვა სპეციალისტებთან ერთად, უშუალოდ მონაწილეობდა სტიქიის საწინააღმდეგო პრევენციული ღონისძიებების დამუშავებაში. სწორედ აღნიშნული ჯგუფის მიერ შეთავაზებული რეკომენდაციების განხორციელება ჩათვალა მთავრობამ საჭიროდ. რობერტ დიაკონიძის მიერ დადგენილი იქნა მდინარე ვერეს წყლის მაქსიმალური ხარჯის პროგნოზული სიდიდე. იგი ავტორია ბუნებრივი სტიქიების საწინააღმდეგო 50-ზე მეტი პრევენციული ღონიძიების. ეს არასრული ჩამონათვალია ამ ორი ღირსეული მეცნიერის ნაღვაწის. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა თამარ სანიკიძემ გამორჩეული სამეცნიერო-პედაგოგიური და აქტიური საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის ლიანა სუთიძეს და რობერტ დიაკონიძეს დიდი მადლობა გადაუხადა და ჯანმრთელობა და მომავალი წარმატებები უსურვა მათ.

თამარ სანიკიძე: *„ტექნიკური უნივერსიტეტის ორი პროფესორი – ქალბატონი ლიანა და ბატონი რობერტი, დღეს, სახელმწიფომ ღირსების ორდენით დააჯილდოვა. ეს ადამიანები თავიანთ პროფესიებში გამორჩეულები არიან და მოღვაწეობის არაერთწლიანი ისტორია აქვთ. პედაგოგიური მოღვაწეობის 50 წელზე მეტი იმას ნიშნავს, რომ მათ ხელში ნამდვილად ათასობით სტუდენტმა გამოიარა. ისინი დღესაც აქტიურად არიან ჩართული სამეცნიერო კვლევებში, სხვადასხვა მიმართულებით, ინოვატორული მიდგომით ახდენენ იმ მდგომარეობის გაუმჯობესებას და იმ პროცესების გამოსწორებას, რაზეც დღეს ყველანი ერთად ვმუშაობთ. მინდა, მათ მივულოცო დღევანდელი დღე და ვუსურვო, რომ ენერგია, ისევ და ისევ, ახალგაზრდებსა და თავიანთ საყვარელ საქმიანობას მოახმარონ“.*

ლიანა სუთიძე: *„რა თქმა უნდა, ყოველგვარი ჯილდო, ალბათ, ადამიანის დაფასების და შეფასების საშუალებაა. დღევანდელი დღე ჩემთვის სასიხარულოა, ნამდვილად დღესასწაულია, იმიტომ რომ, ვიგრძენი, ის 55 წელი (თუ სტუდენტობასაც ჩავთვლით – 60), რაც მე ტექნიკურ უნივერსიტეტში გავატარე, დაფასდა“.*

რობერტ დიაკონიძე: *„ჩემთვის დღევანდელი დღე განსაკუთრებით საპატიოა იმიტომ, რომ ეს ჯილდო გადმომეცა წარმატებული მინისტრისა და წარმატებული რექტორის პერიოდში. მხოლოდ ერთი რამ შემიძლია ვთქვა – ვემსახურები ჩემს ქვეყანას“.*

ხელშემწყობი გარემო მდგრადი საწარმოებისთვის

თბილისის ტექნოლოგიურ ცენტრში გაიმართა საერთაშორისო კონფერენცია „ხელშემწყობი გარემოს შექმნა მდგრადი საწარმოებისათვის“. ღონისძიება ბიზნესგაერთიანება „საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციისა “და შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (ILO) ორგანიზებით ჩატარდა. კონფერენცია ვიცე-პრემიერმა, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა დიმიტრი ქუმსიშვილმა გახსნა, ღონისძიებას, ასევე, დაესწრნენ განათლებისა და მეცნიერების მინისტრი თამარ სანიკიძე და ბიზნესომბუდსმენი გიორგი გახარია.

კონფერენციის მონაწილეების წინაშე მოხსენებით გამოვიდა ვიცე-პრემიერი, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი დიმიტრი ქუმსიშვილი. მან ისაუბრა პრემიერ-მინისტრის ინიცირებული 4-პუნქტიანი სამთავრობო გეგმის შესახებ და იმ რეფორმებზე, რომლებიც ამ მიმართულებით ხორციელდება. მათ შორის, ბიზნესის ხელშეწყობისა და შრომით ბაზარზე ორიენტირებული პროფესიული განათლების სისტემის შექმნის მიმართულებებზე.

ვიცე-პრემიერმა ისაუბრა მეწარმეობის ხელშემწყობ სამთავრობო პროგრამაზე „აწარმოე საქართველოში“ და მის ქვეკომპონენტებზე. მისი განცხადებით, პროექტმა „აწარმოე საქართველოში“ ადგილობრივ მეწარმეებს მისცა შესაძლებლობა, კომერციული ბანკებიდან სესხი 1-დან 3 პროცენტამდე აეღოთ. გარდა ამისა, როგორც დიმიტრი ქუმსიშვილმა აღნიშნა, სახელმწიფო გახდა თანაუზრუნველმყოფელი კომერციული ბანკებიდან სესხის აღების დროს.

ვიცე-პრემიერი, ასევე, შეეხო განათლების მიმართულებასაც და ისაუბრა იმ პრეზენტაციაზე, რომელიც მცირე ხნის წინ განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ გამოაქვეყნა. *„საუბარია საჯარო და კერძო პარტნიორობასა და პროფესიულ განათლებაში ჩადებულ ძალიან დიდ ინვესტიციაზე,“* – განაცხადა დიმიტრი ქუმსიშვილმა და იმედი გამოთქვა, რომ ოთხპუნქტიანი გეგმის ამ ორი მიმართულებით, უახლოეს მომავალში, მნიშვნელოვანი გაუმჯობესება იქნება.

კონფერენციაზე საუბარი წარიმართა შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის კვლევაზე, რომელიც მიზნად ისახავდა ადგილობრივი ბიზნესისთვის მთავარი ხელისშემშლელი ფაქტორების გამოვლენას. კვლევამ 300-მდე მცირე, საშუალო და მსხვილი კომპანია მოიცვა, შედეგად გამოვლინდა სამი ძირითადი ფაქტორი: ქვეყანაში მარეგულირებელი ჩარჩო და სამართლიანი კონკურენცია, ფინანსურ რესურსებზე წვდომა და განათლების სისტემასა და შრომის ბაზრის მოთხოვნებს შორის შესაბამისობა.

კონფერენციაში 100-ზე მეტი ბიზნესკომპანია, 10-მდე სექტორული გაერთიანება, აგრეთვე ქვეყანაში მოქმედი საერთაშორისო ორგანიზაციებისა და დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ.

ინფორმაცია

საქართველო ქიმიის საერთაშორისო ოლიმპიადას უმასპინძლებს

"საქართველოში პირველად ჩატარდება მოსწავლეთა საერთაშორისო ოლიმპიადა ქიმიაში (IChO). თბილისი ოლიმპიადას 2016 წლის 23 ივლისიდან 1 აგვისტოს ჩათვლით უმასპინძლებს. საერთაშორისო ოლიმპიადა ქიმიაში, ოლიმპიადებს შორის, ყველაზე ფართომასშტაბიანი, მსოფლიოში ცნობილი და ძალიან მაღალი რეპუტაციის მქონე ღონისძიებაა, რომელიც არაჩვეულებრივ გამოცდილებას სძენს საუკეთესო მოსწავლეებს მსოფლიოს 100-მდე ქვეყნიდან.

„ოლიმპიადა 2016"-ში მონაწილეობის მიზანებად, ამ ეტაპზე, 84 ქვეყანაა დარეგისტრირებული. გარდა იმისა, რომ ჩვენი მოსწავლეები საკუთარ ქვეყანაში, მათთვის უფრო კომფორტულ გარემოში, იასპარეზებენ, საქართველოში ჩამოვლენ უცხოელი მოსწავლეები, მენტორები, მთავარი მენტორები, სამეცნიერო დამკვირვებლები, ჯამში – 700-800 ადამიანი. ეს უდიდესი შესაძლებლობაა, ვანახოთ მსოფლიოს საქართველო, მისი კულტურა და მდიდარი ისტორიული მემკვიდრეობა.

ოლიმპიადის არსებობის ისტორიაში ეს უპრეცედენტო შემთხვევაა, როდესაც საქართველო ასეთი დონის ღონისძიებას მასპინძლობს. მსგავსი შესაძლებლობა არა მარტო საქართველოს, თითოეულ ქვეყანას, ათეულობით წლების განმავლობაში, ერთხელ ეძლევა, ვინაიდან 2021 წლამდე უკვე გაწერილია პროგრამა, რომელ ქვეყანაში ჩატარდება მომდევნო წლების ოლიმპიადა.

ოლიმპიადის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ, **ელიზბარ ელიზბარაშვილმა**, ქიმიის ოლიმპიადის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარის, პროფესორ **გაბორ მაგიარფალვის** სახელით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ქიმიის საერთაშორისო ოლიმპიადის დროშა გადასცა.

თამარ სანიკიძე, განათლებისა და მეცნიერების მინისტრი: *„პირველად საქართველოში, 2016 წლის ივლისში, ჩატარდება ქიმიის საერთაშორისო ოლიმპიადა. ეს ღონისძიება მნიშვნელოვანია როგორც სამინისტროსთვის, ისევე მთელი ქვეყნისთვის. სპეციალური კომისია მუშაობს სამოქმედო გეგმის განსაზღვრაზე, რომელიც რამდენიმე დღეში გვექნება. ძალიან მნიშვნელოვანია, დროული კომუნიკაცია, რომ მაქსიმალურად უზრუნველვყოთ ამ პროცესში სკოლებისა და ყველა დაინტერესებული პირის ჩართულობა.*

საერთაშორისო კომიტეტისგან ოფიციალურად მივიღეთ ოლიმპიადის დროშა, რომელსაც საჯაროდ გავშლით და ეს იქნება პირველი ანონსი საერთაშორისო ოლიმპიადის, რომლის განხორციელებასაც ერთად ვიწყებთ ყველა უწყება, მათ შორის ჩვენც, განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, როგორც წამყვანი უწყება. ველით, რომ დაინტერესება ჩვენს მოსწავლეებს შორის ძალიან მაღალი იქნება".

„გადავწეროთ ვეფხისტყაოსანი"

თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის, გიორგი ალიბეგაშვილის ინიციატივით და დედაქალაქის წარმომადგენლობითი ორგანოს მხარდაჭერით, საკრებულოში პროექტის „გადავწეროთ ვეფხისტყაოსანი" პრეზენტაცია გაიმართა.

გიორგი ალიბეგაშვილი: *„სქელყდიანი წიგნის ეგზემპლარი, რომელიც შოთა რუსთაველის 850 წლის იუბილესადმი მიძღვნილი პროექტის ფარგლებში სპეციალურად შეიქმნა, საკრებულოს შენობაში განთავსდება. წიგნში პირველ ჩანაწერს უწმინდესი და უნეტარესი, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია მეორე გააკეთებს, რის შემდეგაც „ვეფხისტყაოსნის" თითო სტროფის გადაწერის შესაძლებლობა ყველა დაინტერესებულ პირს საკუთარი სახელისა და გვარის მითითებით ექნება."*

რუსთაველის პოემის ერთი სტროფის გადაწერა ნებისმიერ ადამიანს შეუძლია, ვინც ქართული ანბანი იცის და ვისთვისაც ეს ნაწარმოები ფასეულობას წარმოადგენს. გადამწერს შესაძლებლობა აქვს, აირჩიოს მისთვის სასურველი სტროფი და გადაწეროს, გადაწერილი სტროფები აღირიცხება და „ბლიტფოს" გვერდზე ქვეყნდება, ასე რომ, განმეორება შეუძლებელია. პოემას არ ექნება სარჩევი, ისევე როგორც მის სხვა ხელნაწერებს, ქვესათაურებს ერთი კალიგრაფისტი გააკეთებს, გაფორმდება ასევე მსურველთა მხრიდან შესრულებული ორიგინალი ილუსტრაციებით და იქნება ერთადერთი ეგზემპლარი, რომელიც ეროვნულ ბიბლიოთეკაში შეინახება.

შოთა რუსთაველის 850 წლის იუბილესადმი მიძღვნილ საღამოზე სიტყვით გამოვიდნენ: დედაქალაქის მერი **დავით ნარმანია**, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი **თამარ სანიკიძე**, აკადემიკოსი **რონინ მეტრეველი** და საზოგადოებისთვის ცნობილი სახეები.

საკრებულოს წევრებთან ერთად, წიგნში ჩანაწერები ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებმა, მეცნიერებმა, ხელოვანებმა, ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლებმა და საზოგადოებისთვის ცნობილმა სახეებმა დატოვეს. თბილისის საკრებულოს თამარ მეფის სახელობის დარბაზში განთავსებულ წიგნში ჩანაწერის გაკეთება ნებისმიერ მოქალაქეს შეეძლება, ხოლო პროექტი პოემის სრულად გადაწერისთანავე დასრულდება.

ღონისძიების ფარგლებში, ასევე მოეწყო გამოფენა „რუსთაველი 850", სადაც მხატვრებმა – **მამუკა ტყეშელაშვილმა**, **თომა გლურჯიძემ**, **მურაზ მურვანიძემ**, **ოლეგ ტიმჩენკომ**, **ზურაბ გომელაურმა**, **ქეთი დავლიანიძემ**, **ნინო ჩაკვეტაძემ** და **მამუკა გიორგაძემ** „ვეფხისტყაოსნის" თემატიკაზე შესრულებული ნამუშევრები, მათ შორის სპეციალურად ამ პროექტისთვის შექმნილი, ნაწარმოებები წარმოადგინეს.

გიორგი კილაძე, ეროვნული ბიბლიოთეკის მეცნიერების, კულტურისა და სამოქალაქო განათლების დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე: *„ჯერჯერობით ყველაზე დიდი მოთხოვნაა სტროფზე ნესტანის წერილიდან: „ჰე, ჩემო ესე უსტარი არს ჩემგან მონაღვაწები". ეს სტროფი პირველმა გადაწერა უხუცესმა ბიბლიოთეკარმა ლეილა ზამბახიძემ და ამიტომ მისი ხელნაწერი შევა. პირველი ხელნაწერი კი, რომელიც საზოგადოებისგან მივიღეთ, ცნობილ მთარგმნელს ალექსანდრე ელერდაშვილს ეკუთვნის და იგი პოემის შესავალი ნაწილის სტროფია: „ესე ამბავი სპარსული, ქართულად ნათარგმანები..." გადამწერთა შორის არიან ოჯახები, გვაქვს 7 წლის ბავშვის ხელნაწერიც. ის, რომ „ვეფხისტყაოსანი" სრულიად საქართველოს კუთვნილებაა და სიმბოლოა განათლებული, ჰუმანური იდეებით გამსჭვალული საზოგადოებისა, გადამწერთა ვინაობაშიც ჩანს. მოგვდის ხელნაწერები საქართველოში მცხოვრები სომეხი, რუსი, ქურთი, პოლონელი მოქალაქეების. დარწმუნებული ვართ, ამ პროექტში საქართველოში მცხოვრები ყველა ეთნოსის წარმომადგენელი ჩაერთვება. ხელნაწერებს გვიგზავნიან უცხოეთში მცხოვრები ქართველები და ქართველოლოგებიც. ვფიქრობთ, პოემის გადაწერა წელიწადნახევარში დასრულდება."*

ალექსანდრე ელერდაშვილი: *„ქართველი კალიგრაფისტებისათვის „ვეფხისტყაოსანი" გადაწერა ყოველთვის საპასუხისმგებლო და საპატიო საქმე იყო. შეიძლება იმიტომაც, რომ არათუ ავტორისეულს, იმ ეპოქის არცერთ ხელნაწერს არ მოუღწევია. დღეისათვის არსებულ სხვადასხვა შედგენილობისა და რედაქციის 160-მდე ხელნაწერთა შორის, ყველაზე უძველესი 1646 წლით თარიღდება. ისტორიამ 32 გადამწერის სახელი შემოგვინახა. საზოგადოებამ იცის მამუკა თავაქარაშვილის, იოსებ სააკაძე-თბილელის, სულხან-საბა ორბელიანის, იოანე ლარაძის, პეტრე ლარაძის, პეტრე ქებაძის, გიორგი თუმანიშვილის, დავით რექტორის სახელები. გადამწერთა შორის იყვნენ მანდილოსნებიც: მანანა ზედგენიძე, ანა თუმანიშვილი-ამილახვარი, ნინო ზედგენიძე. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ რუსთაველის პოემის ხელნაწერის შექმნით საქართველოში მცხოვრები სხვა ერების წარმომადგენლებიც ინტერესდებოდნენ, შემონახულია ზოგიერთი სახელი: ყაზახაანთ ბეჟოიას ასული, ვინმე გურგენა, გასპარა ბაღდასარიშვილი, იოანე იალღუზის ძე გაბარაევი და სხვები."*

პროექტი შოთა რუსთაველის და მისი პოემის თანამედროვე საზოგადოებაში მეტ პოპულარიზაციასა და ხელნაწერი „ვეფხისტყაოსანის" შექმნაში მოსახლეობის აქტიურ ჩართულობას ისახავს მიზნად.

მშობელთა კრება

თუ ბავშვი ეჭვიანობს

თქვენს ოჯახში ორი, სამი, ოთხი, ხუთი ან მეტი ბავშვია? ერთი გყავთ, მაგრამ სულ მალე მეორეს ელოდებით და უფროსი უკვე ეჭვიანობს? გაფიქრებთ შვილების ურთიერთობა და ურთიერთდამოკიდებულება? გიკვირთ, რა სისასტიკეში შეიძლება გადაეზარდოთ კინკლაობა ერთმანეთისთვის უახლოეს ადამიანებს – თქვენს შვილებს? დაგღალათ ბავშვების ურთიერთდაბეზღებამ და ყურადღების მიქცევის ხერხების ნაირგვაროობამ? – თუ ჩამოთვლილ კითხვებს დადებითი პასუხი გაეცით და იქვე შეაგებეთ კონტრშეკითხვა: როგორ მოვიქცეთ, რომ უსიამოვნებები თავიდან ავიცილოთ? – მაშინ სტატია თქვენთვისაა.

სპეციალისტების მტკიცებით, ოჯახებს, რომლებსაც ერთზე მეტი შვილი ჰყავთ, აუცილებლად მოუწევთ ამ საკითხზე დაფიქრება და სწორი მიდგომის შემუშავება, რადგან ბავშვებს შორის კონკურენცია ბუნებრივი მოვლენაა, ემოციების სწორად წარმართვასა და ბავშვებს შორის მეგობრული ურთიერთობის ჩამოყალიბებაზე კი პასუხისმგებლობა მთლიანად უფროსებს ეკისრებათ. თავდაპირველად შევთანხმდეთ იმაზე, რომ უფროსი შვილების ამგვარი ქცევა არც ჭირვეულობაა და არც უზრდელობა. ძნელი მისახვედრი არ არის, რომ მათი ცხოვრება პატარას გაჩენისთანავე ძირფესვიანად იცვლება და არცთუ უკეთესობისკენ. ოჯახში ახალი წევრის შემომატებისთანავე მათთვის საკმაოდ რთული პერიოდი დგება – მშობლები უფრო მეტ დროსა და ყურადღებას ახალშობილს უთმობენ, ახლობლებს საჩუქრები პატარასთვის მოაქვთ, უმცროს დაიკოზე ან ძამიკოზე ზრუნვას რატომღაც მშობლების გაღიზიანება და საყვედური მოსდევს („ხელი არ მოჰკიდო, რამეს ატკენ!“, „ხელში არ აიყვანო, დაგივარდება!“, „ამ სათამაშოს ნუ აძლევ, პირში ჩაიდებს“ და ა.შ). კარგი საქციელი კი, როგორც წესი, შეუმჩნეველი რჩება და ბავშვებსაც სხვა რაღა დარჩენიათ – კუთვნილი ყურადღების დაბრუნებას ყველა შესაძლო ხერხით ცდილობენ, მავნებლობა, რამის გაფუჭება, ყვირილი და ისტერიკა კი ამის უტყუარი რეცეპტია. ისეც ხდება, რომ მშობლები უფროს შვილს იმაზე მეტს სთხოვენ, ვიდრე შეუძლია. ამ შემთხვევაში, უმცროსზე ზრუნვა უფროსი ბავშვისთვის უსიამოვნო ვალდებულება უფროა, ვიდრე გულწრფელი სურვილი.

ვისაც უმართლებს, სხვის შეცდომებზე სწავლობს, ამიტომ ჩამოვთვლით შეცდომებს, რომლებსაც ამ რთულ და გარდაუვალ სიტუაციაში ყველაზე ხშირად უშვებენ მშობლები:

შეცდომა პირველი – ხშირად, როდესაც უფროს შვილს ოჯახის ახალი წევრის შესახვედრად ამზადებენ, მშობლები ცდილობენ დაუხატონ მას იდეალური პარტნიორი ერთობლივი თამაშებისთვის, გულითადი მეგობარი და თანამოაზრე. წარმოიდგინეთ ბავშვის იმედგაცრუება, როდესაც, ამ საოცნებო პარტნიორის ნაცვლად, მშობლები მას უმწეო და უსუსურ პაწაწა ადამიანს აცნობენ. ასე რომ არ მოხდეს, სასურველია, ბავშვის შემზადება უმცროსის დაბადებამდე დაიწყოთ. ორსულობის ხანგრძლივი პერიოდი ამისთვის ზედგამოჭრილია. უფრო მეტი დრო გაატარეთ უფროს შვილთან. ნუ შეუქმნით მცდარ წარმოდგენას ახალშობილზე! დაათვალიერებინეთ ფოტოები, გაიხსენეთ, როგორი ციცქნა და საყვარელი იყო თვითონ, როგორ ნელ-ნელა იზრდებოდა, სწავლობდა ცოცვას, სიარულს, ლაპარაკს. ახლა ეს ყველაფერი განმეორდება და დედასაც და უფროს შვილსაც ბევრი მოთმინება და მონდომება დასჭირდებათ. შეარჩიეთ დღის მონაკვეთი, რომელსაც ყოველდღე ბავშვთან ერთად გაატარებთ და შეეცადეთ, ეს დრო პატარას დაბადების შემდეგაც უფროსს დაუთმოთ. ასე მას სტაბილურობის განცდა შეუნარჩუნდება. ახალშობილის „გასაგონად“ კი შეგიძლიათ ხმამაღლა განაცხადოთ: „ახლა მათეს (უფროსი შვილის) დროა, მას უნდა ნავუკითხო (ვეთამაშო, ვამეცადინო). შენთვის აღარ მცალია!“.

შეცდომა მეორე – „ბავშვებს შორის ყურადღებისა და დროის თანაბრად განაწილება აუცილებელია,“ – ასეთ რეკომენდაციას ხშირად მოისმენთ, მაგრამ უმეტესად, და ეს მშობლების უმრავლესობამ კარგად უწყის, ამის გაკეთება წარმოუდგენელია. მიუხედავად ამისა, ძალზე მნიშვნელოვანია, რომ უფროსმა ბავშვმა თავი დაჩაგრულად ან ზედმეტად არასოდეს იგრძნოს. ხშირად მიმართეთ ალერსიანად, თბილად, გაეთამაშეთ და გაეხუმრეთ, შეაქეთ და ჩაეხუტეთ. გულწრფელად შესჩივლეთ, როგორი ძნელია უმწეო ახალშობილის მოვლა და რა კარგია, რომ ის უკვე ასეთი დიდი და დამოუკიდებელია, თანაც როგორ გეხმარებათ და ზრუნავს პატარაზე! მოიფიქრეთ და მოუყევით სხვადასხვა ამბავი ყოჩაღ და ბეჯით ბავშვზე, რომელსაც პაწაწა დაიკო ან ძამიკო ჰყავდა.

შეცდომა მესამე – „შენ უფროსი ხარ და მეტი მოგეთხოვება!“ გახსოვთ ხუთი გოჭის ზღაპარი? ერთი თბილანა იყო, ერთი – მცივანა, ერთი – მშივანა, ერთი – ზარმაცა, ერთი – მაგარა. ხშირად ხდება, რომ ოჯახში სხვადასხვა ასაკის ბავშვებს უფროსები განსაზღვრულ როლებს გადაუნაწილებენ ხოლმე: დამჯერი და ცელქი, უჭმელი და დაუდგრომელი, დედიკოს სიხარული და მამას სიამაყე და ა.შ. ყველაზე უფროს შვილს კი, ძალაუნებურად, „უფროსობა“ ერგება წილად. არადა, ეს როლი საკმაოდ რთული მოსარგებია და ზედმეტ პასუხისმგებლობას ითხოვს სინამდვილეში ჯერ კიდევ პატარა ადამიანისგან. ჰოდა, ბავშვებსაც სხვა აღარაფერი დარჩენიათ, იბრუნებენ თავიანთ წილ ბავშვობას ცერა თითის წოვით, ისტერიკით, რთულ შემთხვევებში – ენურეზითაც. სწორედ ამ გზით ცდილობენ, მიაწვდინონ მშობლებს ხმა: „არა ვარ უფროსი! არც მეტი მომეთხოვება! მეც უნდა გამანებივროთ და ნუ მაიძულებთ იმის კეთებას, რაც არ მომწონს და არ მინდა!!!“ ასეთ დროს, თუ მაინცდამაინც ხაზგასმულია პირველი შვილის „უფროსობა“, აუცილებლად შეახსენეთ მას, რომ უფროსს მეტი პრივილეგია აქვს, ვიდრე პატარას: შეუძლია, მიირთვას ცივი ნაყინი და მეტი ტკბილეული, უფლება აქვს, ტელევიზორთან მეტი დრო გაატაროს, უმცროსივით ადრე კი არ იძინებს, არამედ თითქმის იმ დროს, როცა „სულ დიდები“. გარდა ამისა, შეეცადეთ, მისი თანდასწრებით ხშირად თქვათ, რომ მას არაჩვეულებრივი, ძალიან საყვარელი დაიკო ან ძამიკო ჰყავს (მნიშვნელოვანია, რომ ბავშვი ხვდებოდეს – უმცროსი და/ძმა დედიკოს და მამიკოს მეორე შვილი კი არ არის მხოლოდ, არამედ მისი დაც/ძმაც).

შეცდომა მეოთხე – „ეჭვიანობ, ე.ი. უზნეო და გულღრძო ხარ!“ ეჭვიანობა და მეტოქეობა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ადამიანის სავსებით ბუნებრივი რეაქციაა. მთავარი ამ შემთხვევაში ემოციების სწორად წარმართვაა. – დატუქსვა და საყვედურები დაუშვებელია – ბავშვი საკუთარი ემოციების დამალვას შეეჩვევა და ჩაიკეტება. ეცადეთ, გაგებით მოეკიდოთ უფროსი შვილის განცდებს. ეჭვიანობის გამო, უფროსმა შესაძლოა პატარას დაზიანებაც კი სცადოს. ასე რომ არ მოხდეს, აუცილებლად გამოუყავით უფროსს სახლში თუნდაც პატარა კუთხე; ნუ დართავთ პატარას ნებას, მის სათამაშოებსა და ნივთებს ხელი ახლოს. ფსიქოლოგები იმასაც კი გვირჩევენ, შვილების მოსაფერებლად, ერთი და იგივე საალერსო სიტყვები არ გამოვიყენოთ. უფროსის გასაგონად „დატუქსეთ“ უმცროსიც, თუ იგი მისი წყენის ან ტკივილის მიზეზი გახდა.

შეცდომა მეხუთე – ზოგჯერ, ბავშვებს შორის კამათისა და კინკლაობის დროს, ოჯახის წევრები „დამნაშავეს“ ასაკობრივი ნიშნით გამოავლენენ ხოლმე: „უფროსი ხარ, ე.ი. შენ დააშავე, არ დაუთმე, არ დაინდე“ და ა.შ., ან იწყებენ არაფრისმომცემ გამოძიებას – რომელმა დაიწყო ჩხუბი. პირველ შემთხვევაში, ცხადია, უფროსები უსამართლოდ იქცევიან, მეორე შემთხვევაში კი ბავშვებს დაბეზღებას ვასწავლით.

რასაკვირველია, არც პირველი და არც მეორე ვარიანტი ბავშვებს შორის დავისა და ჩხუბის აღსაკვეთად არ გამოდგება. თუ ბავშვებმა ხელჩართული ბრძოლა გააჩაღეს, შეაჩერეთ ისინი, მაგრამ ნუ წაახალისებთ დაბეზღებისა და თავის მართლების მცდელობებს.

არასდროს დასაჯოთ ერთი მეორის თანდასწრებით და ერთმანეთისთვის ჭკუის სასწავლებლად; უმჯობესია, ორივე ჩხუბისთავი მოაკლდეს რაიმე მათთვის სასიამოვნო და სასურველ აქტივობას. არავითარ შემთხვევაში არ მიაყენოთ შეურაცხყოფა ბავშვებს, თორემ ისინი ერთმანეთის პატივისცემას ვერასდროს ისწავლიან. შემოიღეთ მკაცრი და შეუვალი კანონი – ხელით შეხება იკრძალება და ისჯება! დაუმორჩილებლობის აღსაკვეთად შეგიძლიათ წინასწარ შეათანხმოთ „სადამსჯელო სანქციებიც“.

დასასრულს, გვინდა კვალიფიციური ფსიქოლოგის რჩევებიც შემოგთავაზოთ:

პატარას დაბადებამდე, 3-4 თვით ადრე, საჭიროა უფროსი შვილის ან შვილების მომზადება ოჯახის ახალი წევრის შესახვედრად. ჩვენი დაკვირვებით, სწორედ ეს პერიოდია მიზანშეწონილი, რადგან მომავალი დის ან ძმის არსებობა უკვე ადვილად შესამჩნევი და ხელშესახებიცაა. ბავშვს ილუზიებს ნუ შეუქმნით, შეეცადეთ დაუხატოთ რეალურთან მიახლოებული სურათი და გულითადად სთხოვოთ დახმარება, რომელიც მართლა აუცილებელი იქნება თქვენთვის. გაგიკვირდებათ, რამდენი რამის გაკეთებას შეძლებენ თქვენი უფროსი შვილები, თუ საქმიანობას ანდობთ და დაანებებთ. მეტიც – ეს აუცილებელია, რათა ბავშვებმა იგრძნონ, რომ ისინი საჭირო და მნიშვნელოვან საქმეს აკეთებენ და დედიკოს შრომას უმსუბუქებენ. ძალიან კარგი იქნება, თუკი უფროსებს დეკორატორებისა და დიზაინერების მოვალეობებს დააკისრებთ – მათთან ერთად შეარჩიეთ ახალშობილისთვის საჭირო ინვენტარი, ტანსაცმელი, მოაწყობინეთ და მოაწესრიგებინეთ ახალშობილის კუთხე. თუ პატარას დაბადება მოითხოვს უფროსის ჩვეული რეჟიმის ან პირობების შეცვლას (მაგალითად, სხვა საწოლში გადაწვენას, სხვა ოთახში გადაყვანას, სეირნობის გადადებას), აუცილებელია, ეს ცვლილებები მშობიარობამდე, ერთი თვით ადრე მაინც, განახორციელოთ. მზად იყავით აგრესიისა და ეჭვიანობისთვისაც და ეცადეთ, გაგებით მოეკიდოთ ბავშვის მღელვარებას, მეტი ყურადღებითა და მზრუნველობით გადაფაროთ ეს ნეგატივი. თუ უმცროს ბავშვს „მემკვიდრეობად“ უფროსის ნივთები ან ტანსაცმელი უნდა არგუნოთ, აუცილებლად ჰკითხეთ ნებართვა ძველ პატრონს. ასე ბავშვი გაზიარებასაც შეეგუება და იმასაც იგრძნობს, რომ ანგარიშს უწევენ. შესაძლოა, ვინმეს მოეჩვენოს, რომ ჩამოთვლილი რჩევები ზედმეტია და და-ძმებს შორის ურთიერთობა უამისოდაც მოგვარდება, ახლა თუ არა, მოგვიანებით მაინც, მაგრამ, მერწმუნეთ, ამ წესების დაცვა საშუალებას მოგცემთ, დატკბეთ მოყვარული და ერთმანეთზე მზრუნველი ბავშვების აღზრდით და მათთან ურთიერთობით.

ამრიგად, ეჭვიანობა და შვილებს შორის მეტოქეობა გარდაუვალი მოვლენაა ნებისმიერ ოჯახში, კონფლიქტებისა და ნეგატიური ურთიერთდამოკიდებულების მინიმუმამდე დაყვანა კი, მშობლების პირდაპირი მოვალეობა გახლავთ. მოყვარული და მომთმენი მშობლები აუცილებლად შეძლებენ ამ ვნებების დაოკებას და მართვას და პატარებს სირთულეების დაძლევაში დაეხმარებიან. სწორედ ასე გადაიქცევიან გუშინდელი მეტოქეები ძლიერ, ერთმანეთზე მზრუნველ და მეგობრულ თანამოაზრეებად – ერთ ძლიერ ოჯახად!

მამის კვალზე

საფრანგეთის ქალაქ ტულუზაში ჩატარდა ევროპის ჩემპიონატი ახალგაზრდა და ჭაბუკ სამბისტთა შორის, სადაც, ტრადიციულად, წარმატებით გამოვიდნენ ჩვენი სპორტსმენები. მათ მთლიანობაში 18 მედალი მოიპოვეს – 8 ოქრო, 3 ვერცხლი და 7 ბრინჯაო. აქედან 9 ჯილდო ჭაბუკების ანგარიშზეა – 5 ოქრო, 1 ვერცხლი და 3 ბრინჯაო. მათ გუნდური პირველობაც მოიგეს. ახალგაზრდებმაც ასევე 9 მედალი ირგუნეს, თუმცა ხარისხობრივად სხვა მდგომარეობაა: 3 ოქრო, 2 ვერცხლი და 4 ბრინჯაო. ისინი გუნდურში მეორეზე გავიდნენ. აღსანიშნავია, რომ ორივე ნაკრები მხოლოდ თითო წონაში დარჩა უმედლოდ.

ჭაბუკთა შორის ჩემპიონები **ჯაბა პაპინაშვილი** (52), **საბა გრიგალაშვილი** (56), **ირაკლი ხერგიანი** (60), **ლევან გუგავა** (65) და **ნიკა სიდამონიძე** (87) გახდნენ. **გიორგი გოგოლიძემ** (+87) მხოლოდ ფინალური ორთაბრძოლა დათმო, მესამე საპრიზო ადგილზე კი **გიორგი ჭუმბურიძე** (48), **ზვიად თევდორაშვილი** (70) და **დიმიტრი კობაური** (75) გავიდნენ.

საინტერესოა, რომ ირაკლი ხერგიანი ახლო წარსულში ცნობილი ქართველი ძიუდოისტის, ევროპის ორგზის ჩემპიონის, ოლიმპიადისა და მსოფლიოს ფინალისტ **ნესტორ ხერგიანის** ვაჟია. თავის დროზე მამამისმაც სამბოთი დაიწყო სპორტული კარიერა და მერე ძიუდოში დიდ წარმატებებს მიაღწია (ევროპა-მსოფლიოზე და ოლიმპიადაზე მან სხვადასხვა სინჯის 12 მედალი მოიპოვა, რაც თანამედროვე ქართულ სპორტში ერთგვარი რეკორდია).

ახალგაზრდებიდან ჩემპიონები **ირაკლი კუპატაძე** (57), **იესო კვირიკაშვილი** (90) და **დავით ოზბეთელაშვილი** (+90) გახდნენ. ჩემპიონობამდე მხოლოდ თითო ფინალური შეხვედრების მოგება დააკლდათ **აკაკი გიგატაძეს** (48) და **გიორგი მირუაშვილს** (52), ხოლო **ილია შუბითიძე** (62), **გიორგი მეტრეველი** (68), **ოთარ გოგისვანიძე** (82) და **დავით რაზმაძე** (+100) მესამე პრიზიორები გახდნენ.

პირველობა მაგიდის ჩოგბურთში

საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში, სამი დღის განმავლობაში, მიმდინარეობდა თბილისის ღია პირველობა მაგიდის ჩოგბურთში მოსწავლეთა შორის, რომელშიც საჯარო და კერძო სკოლების გუნდები მონაწილეობდნენ. 4-5 მარტს შესარჩევი ეტაპის შეხვედრები გაიმართა, ფინალები კი ორგანიზატორებმა სპორტის დღეს – 6 აპრილს დაამთხვიეს.

ეს ტურნირი, სასკოლო სპორტის ეროვნული ფედერაციის თაოსნობით, წლეულს მეორედ გაიმართა, შეჯიბრება კი ფინანსურად დედაქალაქის მერიის განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურმა უზრუნველყო. მასში თბილისის 52 სკოლის გუნდი მონაწილეობდა, რომლებიც ადრინდელივით შერეული და სამმხრივი პრინციპით იყვნენ დაკომპლექტებული: მოსწავლე, მშობელი, მასწავლებელი. ამასთან, მოსწავლეთა შორის თანაბრად იყო დაცული გენდერული ბალანსი – 2-2 ბიჭი და გოგო.

ტურნირს საპატიო სტუმრებიც მრავლად დაესწრნენ – მერიის, განათლებისა და მეცნიერების, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს, სპორტის სასწავლო უნივერსიტეტის ხელმძღვანელები, მოწვეული იყო ცნობილი მსახიობი **ლევან ყოჩიაშვილიც**, რომელიც 150-ე საჯარო სკოლის გუნდში გამოდიოდა. მისი ავტოგრაფიანი ბურთი შეჯიბრების ერთ-ერთი გამორჩეული სუვენირი გახდა, რომელიც 84-ე სკოლის გუნდის წევრ **ირინე რუსიძეს** გადაეცა. ესწრებოდნენ ევროპის ჩემპიონი კრივში **დავით კვაჭაძე** და ვეტერანთა შორის მსოფლიოს ჩემპიონი ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში **შალვა გაფრინდაშვილი**, რომელიც 108-ე სკოლის სპორტის პედაგოგია. ფინალურ ეტაპზე სტუმრების უმეტესობა მონაწილე გუნდების შემადგენლობაში გადანაწილდა. ტურნირის მსაჯი რესპუბლიკური კატეგორიის არბიტრი **სუსანა გვილავა** იყო, რომელსაც დიდ დახმარებას უწევდნენ **ნათია კაციტაძე, მაია აგეკიანი, გიორგი კოპლატაძე, შოთა ძიძიგური, რატი ცხვიტავა** და **სალომე სოლაშვილი**.

ორდღიანი შესარჩევი ეტაპის შემდეგ ფინალურ ტურნირში გამოსვლის უფლება 84-ე, 90-ე, 97-ე, 150-ე, 161-ე და 207-ე საჯარო სკოლების გუნდებმა მოიპოვეს, კერძოებიდან კი მათ ვალდორფის სკოლა დაემატა. აგრეთვე – კლასიკური გიმნაზიის გუნდი. საბოლოოდ ოქროს მედლისთვის ბრძოლის უფლება 150-ე და 90-ე სკოლების გუნდებმა მოიპოვეს, ბრინჯაოსთვის კი 84-ე და 161-ე სკოლები შეებნენ ერთმანეთს. ჩემპიონის ტიტული და ოქროს მედლები 150-ე საჯარო სკოლამ დაისაკუთრა, ვერცხლი 90-ეს დარჩა, ბრინჯაოს კი 161-ე სკოლა დაეუფლა. თბილისის მერიამ მედლებისთვის მებრძოლი ოთხეულისთვის ფულადი პრემიები დააწესა: ჩემპიონს 600 ლარი გადაეცა, ვიცე-ჩემპიონს – 400, მესამე პრიზიორმა 200 ლარი მიიღო, მეოთხეადგილოსანმა – 100. დაჯილდოვდა ტურნირის ყველაზე პატარა მონაწილეც – 90-ე საჯარო სკოლის მესამეკლასელი **აკაკი გაბიციხაშვილი**.

სომხიშვილის ბრინჯაო

ძიუდოისტი გოგონების ნაკრებმა ჩეხურ ტპლიცეში იჭიდავა ჭაბუკთა ევროპის თასზე, სადაც საკმაოდ მოზრდილი, 10-კაციანი გუნდით გაემგზავრნენ. იქ ჩვენებმა ერთი ბრინჯაო მოიპოვეს, რომელსაც მძიმე წონაში სოფიო სომხიშვილი დაეუფლა. ის პირველ წრეში ისვენებდა, მერე კი ხორვატ **ნინა იურჩს** წმინდად მოუგო. ქართველი გერმანელ **ჰანა პოლვაგესაც** ამარცხებდა იუკოთი, მაგრამ გაფრთხილებებით მოხსნეს. ჩვენებურმა დამამშვიდებელში სამი პაექრობა გამართა და ყველა წმინდად მოიგო – ბელორუს **დანა სავოშანკასთან**, პოლონელ **კინგა ვოლცზაკთან** და იტალიელ **ანალისა კალაგრეტისთან**. სომხიშვილი ახალ თაობაში ერთ-ერთი ყველაზე ნიჭიერია და სამომავლოდ მისგან დიდ წარმატებებს ელიან. ეტყობა, არცთუ უსაფუძვლოდ.

ჩვენი გუნდის სხვა წევრებიდან მედალს მხოლოდ ევროპული ფესტივალის გამარჯვებული **ეთერ ლიპარტელიანი** (57) მიუახლოვდა, თუმცა მეშვიდეზე დარჩა. მან წმინდად აჯობა ბრიტანელ **ჯოსიე სტელეს** და დამარცხდა გერმანელ **ანა შნაიდერთან**. სანუგეშოში მოიგო ორი შეხვედრა – იტალიელ **ირენე პედროტისთან** და უნგრელ **ნორა სილისთან**, ტურნირზე გამოსვლა კი პოლონელ **ანგელიკა ზიმანსკასთან** მარცხით დაასრულა.

ტპლიცეში გოგონათა ამ ასაკის სხვა ტიტულოვანი წევრებიც გამოდიოდნენ: ევროპული ფესტივალის მესამე პრიზიორი **ნატალია ყიფშიძე** (48), ევროპირველობაზე ბრინჯაოსთვის ნაჭიდავები **ნინო მგელაძე** (52) და ევროპის მესამე პრიზიორი **თამარ ჭანტურია**, რომელიც ამჯერად ზედა წონაში – 63-ში მოგვევლინა. მათ ჯგუფში თითო ორთაბრძოლა მოიგეს, მერე კი დამარცხდნენ. ზოგი სანუგეშო წრეშიც გადავიდა, თუმცა საბოლოოდ მაინც უმედლოდ დარჩა.

ბარემ აქვე გეტყვით, რომ ამ კვირაში, 21-24 აპრილს, გოგონათა ნაკრების რამდენიმე წევრი – **ოლიკო ალადოშვილი** (48), **მარიამ ჯანაშვილი** (52) და **სალომე აბაშიძე** (57), რომლებიც ჯერ კიდევ ახალგაზრდული ნაკრების წევრები არიან, უფროსთა შორის ევროპის ჩემპიონატზე გამოვლენ. იქ ჰოლანდიიდან გადმობირებული **ესტერ სტამიც** იჭიდავებს, რომელიც ჯანაშვილთან ერთად, რიო დე ჟანეიროს ლიცენზიისთვის იბრძვის.

ტპლიცეს ტურნირის პარალელურად, სანკტ პეტერბურგში ასევე ევროპის თასი ჩატარდა ისევ ძიუდოში, ოღონდ ახალგაზრდებში, სადაც ჩვენგან მხოლოდ ბიჭები გამოდიოდნენ, 10-კაციანი გუნდი. მათი მონაგარი 3 მედალია – 1 ვერცხლი და 2 ბრინჯაო. **გიორგი ქურდიანმა** (81) მხოლოდ ფინალური ორთაბრძოლა დათმო იაპონელ **სოტარო ფუჯივარასთან**. იქამდე ჩვენმა ფალავანმა ყველა პაექრობა დამაჯერებლად, დიდი უპირატესობით მოიგო – ფრანგ **კრისტ გენგოს** და რუს **ტურპალ ტეპკაევს** ვაზარით მოუგო, ბრაზილიელი **ლუან როდრიგესი** და კიდევ ერთი ფრანგი **ადრიენ კოპადო** კი პირდაპირ დააიპონა. ბრინჯაოს მედლები **დავით გეჯაძემ** (55) და **გურამ ქოსმენაშვილმა** (+100) მოიპოვეს.

ამათ გარდა, კვარცხლბეკზე კიდევ სამი ქართველი ავიდა, თუმცა სხვა ქვეყნის სახელით: რუსეთიდან მოასპარეზე **იაგო აბულაძე** 60 კილოგრამში ფინალში გავიდა, სადაც იაპონელ **გენკი კოგასთან** დამარცხდა; ამავე წონაში ბრინჯაო მოიპოვა **თორნიკე ჭკადუამ** ჰოლანდიიდან (ქვეჯგუფში აბულაძესთან წააგო), ხოლო გერმანიაში გადასული **სანდრო მაქაცარია** 90 კილოგრამში გავიდა მესამეზე. თან მაქაცარიამ **იესო კვირიკაშვილიც** წმინდად დაგვიმარცხა.

რუბრიკა მოამზადა ირაკლი თავაძემ

მიმდინარეობს ხელმოწერა

მასწავლებლის ბიბლიოთეკა



კუბლიკაცია მოიცავს დაწყებითი კლასების მასწავლებლებისთვის საინტერესო საკითხებს. წიგნში მიმოხილულია შემდეგი თემები: ადრეული განათლების მნიშვნელობა გავშვის შემდგომი განვითარებისთვის, სასკოლო მზაობის ცნება და დახმარების სტრატეგიები სკოლასთან ადაპტაციისთვის, სოციალურ-ემოციური სფეროს განვითარების ხელშეწყობა და კონკრეტული რეკომენდაციები, სწავლის მოტივაციის ამაღლების ხელშეწყობა, სასწავლო მიზნების ფორმულირება, კრიტიკული აზროვნების, მათემატიკური უნარების, მეტყველების განვითარება და კონკრეტული რეკომენდაციები ზეპირმეტყველებისა და წერითი დავალებებისათვის, კითხვის მნიშვნელობა და კითხვის უნარის სპეციფიკური დარღვევა-დისლექსია, ფიზიკური განვითარების ხელშეწყობა და რეკომენდაციები მოძრავი თამაშებისთვის, განმავითარებელი შეფასების საშუალებები, მშობლებთან თანამშრომლობა, საკლასო ოთახის მოწყობის სპეციფიკა, კლასის მართვის სტრატეგიები.

ფასი – 7,30 ლარი

თამაზ ვასაძე
ქართული აგიოგრაფიული პროზა ლიტერატურის შემსწავლელთათვის
4 ლარი

თემატური პლაკატები

დაწყებითი კლასებისთვის

(42X59.4 სმ)

1. წელიწადის დროები: შემოდგომა-ზამთარი
2. წელიწადის დროები: გაზაფხული-ზაფხული
3. ფერები
4. გარეული ცხოველები
5. გარეული ფრინველები
6. პროფესიები
7. შინაური ცხოველები და ფრინველები
8. ჰიგიენის ნივთები
9. საოჯახო ნივთები
10. ტრანსპორტი
11. ზღვის ბინადრები
12. ტანსაცმელი
13. ხილი
14. ბოსტნეული
15. ჩემი სხეული
16. ფორმები
17. რიცხვები
18. რის შვილს რა ჰქვია
19. მწერები
20. ამინდი
21. მცენარეები
22. საპირისპირო ცნებები
23. ქალაქში
24. სოფელში
25. სპორტის სახეობები
26. ზღაპრის გმირები
27. ჩემი საქართველო
28. ქართული ანბანი
29. ინგლისური ანბანი
30. რომელი საათია

ფასი – 2.90 ლარი

მაღალი კლასებისთვის

(59.4X84.1 სმ)

1. რელიგიების წარმოშობა
2. გარეული ფრინველები საქართველოში
3. გარეული ცხოველები საქართველოში
4. მწერები
5. ქვეწარმავლები საქართველოში
6. საქართველოს მცენარეები
7. სამყაროს წარმოშობა
8. ნიადაგი – სიცოცხლის წყარო
9. რეპტილიები და დინოზავრები
10. ზღვის დინებები
11. ქიმიური ელემენტების პერიოდული სისტემა
12. ქართველი მეომრის შეიარაღება და საბრძოლო ტექნიკა
13. მსოფლიოს შვიდი საოცრება

ფასი – 4 ლარი

მითითებულია ერთი ცალის ფასი

წიგნი I
ძველი ქართული მწერლობა;
წიგნი II
„ვეფხისტყაოსანი“;
წიგნი III
XIX საუკუნის მწერლობა
წიგნი IV
XX საუკუნის მწერლობა

თამარ გელიტაშვილი, ამირან გომართელი

თითოეული კრებულის ფასი – 12 ლარი

სავარჯიშო რვეული ქართულ მართლწერაში

10 ლარი

საყმაწვილო ენციკლოპედია

თითო ტომის ფასი – 12 ლარი

ავტომობილი
სამურაი
უდაბნო
გამოგონებები
განძის ძიება
გლადიატორები
დრო და კალენდარი
ძველი ეგვიპტე
ევროპა
ვიკინგები
ფიზიკა
ახსნილი და აუხსნელი
ფენომენები
კოშკები და ცათამბჯენები
უძველესი ადამიანები
მათემატიკა
ძველი რომი
ძველი საბერძნეთი



რა არის რა

აქცია

მთავაზობთ 10 ტომს ენციკლოპედიების სერიიდან „რა არის რა“ სპეციალურ ფასად.

თითო ტომს, 12 ლარის ნაცვლად, 9 ლარად მიიღებს.

ამინდი

არქიტექტურა

კრიმინალისტიკა

ჯანსაღი კვება

მთები

ოლიმპიური თამაშები

მეკობრეები

ქიმია

ხალხთა დიდი გადასახლება

მეცნიერებები

ხელმოწერის თანხა გადმორიცხეთ რეკვიზიტებზე:
მიმღები – შპს „ახალი განათლება“,
ს/კ 202058735, ა/ა GE93LB0113314052305000,
ს/ს „ლიბერთი ბანკი“, ბ/კ LBRTGE22
ყურადღება! ფიზიკურმა პირებმა, თანხის გადმორიცხვისას, მიუთითეთ პირადი ნომერი

მწერალთა პორტრეტები

(34X47 სმ)

1. მიხეილ ჯავახიშვილი
2. გიორგი ლეონიძე
3. ირაკლი აბაშიძე
4. ნოდარ დუმბაძე
5. აკაკი წერეთელი
6. კონსტანტინე გამსახურდია
7. პაოლო იაშვილი
8. სულხან-საბა ორბელიანი
9. პოლიკარპე კაკაბაძე
10. გურამ რჩეულიშვილი
11. დავით გურამიშვილი
12. ბესიკი
13. რევაზ ინანიშვილი
14. თეიმურაზ I
15. ვახტანგ VI
16. გიორგი მერჩულე
17. გრიგოლ ორბელიანი
18. დავით ალმაშენებელი

4 ლარი

რეპროდუქციები

1. ჰორაციუსთა ფიცი, ჟაკ-ლუი დავიდი
2. მწყემსთა თაყვანისცემა, დომენიკო გირლანდაიო
3. ადელ გლოს-ბაუერის პორტრეტი, გუსტავ კლიმტი
4. მენინები, დიეგო ველასკესი
5. დელფოსელი სიბილა, მიქელანჯელო
6. მხატვრის ბაღი, კლოდ მონე
7. უკლები შვილის დაბრუნება, რემბრანდტი
8. საძანელა, ოგიუსტ რენუარი
9. საკვირაო გასეირნება გრან ჟატის კუნძულზე, ჟორჟ სიორა

6.5 ლარი

მსოფლიო კლასიკოსები

მკვდარი სახლის ჩანაწერები, თეოდორე დოსტოევსკი
ცოლთა სკოლა, ანდრე ჟიდი
გზა ელიტისკენ, ჯონ გრეინი
რჩეული მოთხრობები, ნიკოლოზ გოგოლი
ტალღებზე მორბენალი, ალექსანდრე გრინი
ტკბობა, გაბრიელე დანუნციო
დედაჩემი, ალბერ კამუი
კავკასია, ალექსანდრე დიუმა
ჯონ კიხოტის დაბრუნება, გილბერტ კით ჩესტერტონი
დროის ინსტიტუტი, აჰმედ ჰამდი ტანტინარი
ეფი ბრისტი, თეოდორ ფონტანე
ილელი ვენერა, პროსპერ მერიმე
კავკასიური მოთხრობები, ლევ ტოლსტოი
კვარტერონი, მაინ რიდი
ლორდ ჯიმი, ჯოზეფ კონრადი
მადამ ბოვარი, გუსტავ ფლობერი
სპარსული წერილები, შარლ ლუი დე მონტესკიე
მოუთმენლობა გულისა, შტეფან ცვაიგი
მოწყენილობა, ალბერტო მორავია
ორი რომანი, მიგელ დელიბესი
პარიზის ღვთისმშობლის ტაძარი, ვიქტორ ჰიუგო
მოთხრობები, ალექსანდრე პუშკინი
რჩეული მოთხრობები, ჯონ გოლზუორთი
სატანის ელექსირები, ერნსტ ჰოფმანი
საყვარელი ჩრდილოეთ ჩინეთიდან, მარგერიტ დიურასი
ძალთა ბედნიერება, ემილ ზოლა
ღამეული გართობა, რაფაელ საბატინი
წითელი და შავი, სტენდალი
ძრელი საბურველი, სომერსეტ მოემი
ჯაშუში, ჯეიმზ კუპერი
ლიხტენშტაინი, ვილჰელმ ჰაუფი
ჰუსარი სახურავზე, ჟან ჟიონო

თითოეულის ფასი – 15 ლარი

ხელმომწერთა საყურადღებოდ!

ქართული ენის კრებულები

სერიის ფასი – 17.70ლ

ერთიანული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული გრამატიკის თეორიული კურსი და სავარჯიშოები.

ნამდვილი და მოგონილი ამბები

სერია „ნამდვილი და მოგონილი ამბები“ შექმნილია I-VI კლასების მოსწავლეებისათვის, „კითხვის საათის“ სპეციფიკის გათვალისწინებით. წიგნებში მოცემულია: სახალისო აქტივობები, მარტივი ინსტრუქციები, ასაკისთვის შესაბამისი ენით დაწერილი საბავშვო ტექსტები, რაც დაეხმარება კლასის დამრიგებელსა თუ მშობლებს, განუვითარონ ბავშვებს წერის, კითხვისა და მეტყველების უნარ-ჩვევები.

სერიის ფასი – 30.40ლ

ნიგნის თარო

მოვემზადოთ
საატესტატო გამოცდებისთვის

კრებულში შესულია პროგრამით გათვალისწინებული თეორიული მასალა და ტესტები. გადასაფარებლის ქვეშ მოთავსებულია უნიკალური კოდი. ეს კოდი შეიყვანეთ სპეციალურ აპლიკაციაში, რომელიც განთავსებულია გამომცემლობის ოფიციალურ Facebook გვერდზე

fb.com/bakursulakauripublishing

ერთი კოდის გამოყენება შეუძლია მხოლოდ ერთ მომხმარებელს. ელექტრონული ტესტები შეიძლება ჩააბაროთ როგორც თემების მიხედვით, ასევე შერეულად.

გაიხსენეთ თეორიული მასალა ამ წიგნის მიხედვით და მოაწყვეთ საატესტატო გამოცდების სიმულაცია სახლში!

კრებულის ფასი – 9.90ლ

ნიგნის თარო

მასწავლებლის ბიბლიოთეკა

მასწავლებლის სამუშაო რვეული



მასწავლებლის სამუშაო რვეული პორტფოლიოს განუყოფელი ნაწილია. რვეულის სტრუქტურა საშუალებას აძლევს მასწავლებელს:

1. საჭიროებისამებრ შეავსოს გაკვეთილის დაგეგმვის სქემების მოკლე ან სრული ვარიანტები;
2. გაეცნოს გაკვეთილის დაგეგმვის რეკომენდაციებს;
3. გაეცნოს გაკვეთილის მოკლედ და დეტალურად დაგეგმვის ნიმუშებს.

4 ლარი

კათედრის გამგის პორტფოლიო

კათედრის გამგის პორტფოლიო საშუალებას აძლევს კათედრის გამგეს აღრიცხოს, გააფორმოს, აღწეროს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული საქმიანობები. შესავსები სქემების, ცხრილებისა და კათედრის სხდომის ოქმების გარდა, პორტფოლიო შეიცავს მეთოდურ რეკომენდაციებს, რაც დაეხმარება კათედრის ხელმძღვანელს პორტფოლიოს წარმოებაში და მისი საქმიანობის განხორციელებაში.

6 ლარი

ინტერაქტიური მეთოდების კრებული

კრებულში აღწერილია **ინტერაქტიური სწავლების მეთოდები**; მოცემულია თითოეული მეთოდის გამოყენების ეტაპობრივი აღწერა; განხილულია, რა უნარებს ავითარებს თითოეული მეთოდი; დასახელებულია თითოეული მეთოდის გამოყენების წინაპირობა. კრებულში თავმოყრილია 50-მდე მეთოდის აღწერა.

6 ლარი

მასწავლებლის კალენდარი

2015-2016 სასწავლო წლის კალენდარი ისეა შედგენილი, რომ მასწავლებელს მთელი სასწავლო წლის განმავლობაში შეუძლია **დაგეგმოს და ჩაინიშნოს** მისთვის საჭირო და სასურველი აქტივობები და ინფორმაციები. კალენდარი ყოველკვირეულად აწვდის მასწავლებელს მისთვის მნიშვნელოვან პრაქტიკულ, **პედაგოგიურ რჩევას თუ საჭირო ინფორმაციას.**

კალენდარს ახლავს პირველი და მეორე სემესტრისთვის განკუთვნილი შესავსები გაკვეთილების ცხრილი, მნიშვნელოვანი აქტივობების რეესტრი და თავისუფალი ფურცლები, რაც მოსახერხებელია, რათა მასწავლებელს ყველა საჭირო ინფორმაცია ერთად ჰქონდეს განთავსებული.

5,50 ლარი

შეძენის მსურველები დაგვიკავშირდით: 599880073, 0322958023

ახალი განათლება

მთავარი რედაქტორი:
მარიკა ჩიქოვანი

მისამართი: 0102 თბილისი, ტეტელაშვილის ქ. №3
ტელ.: 032 295 80 23, 599 880073
www.axaliganatleba.ge axaliganatleba@gmail.com

რედაქციის საბანკო რეკვიზიტები: შპს „ახალი განათლება“ ს/კ 202058735
ა/ა GE86BG0000000123631000GEL, ს.ს. „საქართველოს ბანკი“ ბ/კ BAGAGE22,
რედაქციაში შემოსული ხელნაწერები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდებათ.

ISSN 2233-386X
9 772233 386008 >

CMYK